ცოდვილი ნარკომანების, „ბარიგების“ და მათი გაიძვერა ადვოკატების ტყვეობაში!.. ③

საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 16 მაისი. 2018 წ. №102 (8503), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

სოციალური კრახი

ლია ელიავა: არასტაბილურ, ღარიბ ქვეყანაში ადამიანების ფინანსური ძარცვა მიღებული პრაქტიკაა ⑤

საპატრიარქო:

თუ ვინმეს აგრესიული განწყობები აქვს, მსვლელობაში მონაწილეობისგან თავი შეიკავოს

17 მაისთან დაკავშირებით, **საპატრიარქოში** საგანგებო განცხადება გაკეთდა. **საპატრიარქოს** ინიციტივით ოჯახის სიწმინდის დღესთან დაკავშირებით, ამ დღეს მსვლელობა გაიმართება – **„თუ ვინმეს აქვს აგრესიული განწყობები, შეიკავოს მსვლელობაში მონაწილეობისგან თავი“,** – აცხადებენ საასულიერო პირები.

მსვლელობა ვარდების მოედნიდან დაიწყება და რუსთაველის გავლით სამების საკათედრო ტაძარში დასრულდება, სადაც პატრიარქი ოჯახებსა და გვარებს დალოცავს.

„სამების საკათედრო ტაძარში, ყველა მონაწილეს გადაეცემა ოჯახის დალოცვის ფურცელი, მისი უწმინდესობის ლოცვით. დაგეგმილია ძველი ტრადიციული ოჯახების ფოტოალბომების გამოფენა“, – განაცხადეს საპატრიარქოში გამართულ ბრიფინგზე.

როგორ აფასებენ ვაშინგტონში ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე დაბრუნებას? ⑧

„ახალი ბანა“ მთელმა საქართველომ უნდა ააშენოს! ⑦

ახალი სახელები

თედო სახოკიას ჰარმონია ⑨



რუსეთის საპატრიარქო საქართველოში თავის წარმომადგენელს აგზავნის

რუსეთის **საპატრიარქო საქართველოში** **რუსულენოვანი მორწმუნეებისთვის** **თავის** **წარმომადგენელს** **აგზავნის,** – განცხადება ამის შესახებ რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში საასულიერო პირის გამოგზავნის საკითხი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არის შეთანხმებული და ეს თემა 14 მაისს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე განიხილეს.

რუსეთის **საპატრიარქო** **თბილისში** **დეკანოზ** **ვლადიმერ** **ალექსანდროვს** **გამოაგზავნის,** **რომელსაც** **დაევალება,** **რომ** **საჭიროების** **შემთხვევაში** **რუსული** **მართლმადიდებელი** **ეკლესიის** **პოზიცია** **წარმოადგინოს.**

ლიტვა დიმიტრი იაზოვისთვის სამუდამო პატიმრობას ითხოვს

ლიტვის **გენერალური** **პროკურატურა** **მოითხოვს** **კაცობრიობის** **წინააღმდეგ** **დანაშაულისთვის** **გასამართლდეს** **სსრკს** **ყოფილი** **თავდაცვის** **მინისტრი** **დიმიტრი** **იაზოვი,** **რომელიც** **ვილნიუსში** **1991** **წელს** **განვითარებული** **მოვლენების** **მონაწილე** **იყო.** მაშინ ქალაქის ტელეცენტრთან შეტაკებების დროს 14 ადამიანი დაიღუპა. პროკურორი დაივ სკორპუსკაიტე-ლისაუსკენე იაზოვისთვის სამუდამო პატიმრობას ითხოვს. ვილნიუსის საოლქო სასამართლოში 1991 წლის 13 იანვრის მოვლენებში დამნაშავე 67 პირის საქმე იხილება.

„1990 წლის ბოლოს იაზოვმა ორგანიზებული ჯგუფი შექმნა, რომლის შემადგენლობაში 160 სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე შევიდა, მათი მიზანი ლიტვას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დაბრუნება იყო.... **განხორციელებული ქმედებები, რომლებმაც მსხვერპლი მოიტანეს, უნდა მივიჩნიოთ, როგორც სამხედრო დანაშაული, დანაშაულად კაცობრიობის წინაშე“,** – განაცხადა პროკურორმა სასამართლოზე.

აი, როგორ „დემოკრატიას“ მივაღწიეთ!

უფლებადამცველმა **ორგანიზაციამ** **ILGA-Europe LGBTI** **პირების** **უფლებების** **დაცვის** **ინდექსი** **გამოაქვეყნა.**

კვლევაში **საქართველოს** **100%-დან** **25,87%** **აქვს** **მინიჭებული.**

ამ **მაჩვენებლით,** **საქართველო** **LGBTI** **პირების** **უფლებების** **დაცვის** **კუთხით** **რეგიონში** **პირველი,** **ხოლო** **საბჭოთა** **კავშირის** **ყოფილ** **ქვეყნებში** **მეორეა.** **მას** **მხოლოდ** **ესტონეთი** **უსწრებს** **(39%).**

ასევე **აღსანიშნავია,** **რომ** **საქართველო** **ევროკავშირის** **აღმოსავლეთ** **პარტნიორებს** **შორის** **ლიდერია.** **ის** **ამ** **მაჩვენებლით** **უსწრებს** **ევროკავშირის** **წევრ** **რამდენიმე** **ქვეყანას:** **ბულგარეთს,** **რუმინეთს,** **ლიტვას,** **პოლონეთსა** **და** **ლატვიას.**

LGBTI **პირების** **უფლებების** **დაცვის** **მხრივ** **ლიდერია** **მალტა** **(91,04%),** **მას** **მოსდევენ** **ბელგია** **(78,76%),** **ნორვეგია** **(77,74%),** **გაერთიანებული** **სამეფო** **(73,48%)** **და** **ფინეთი** **(73,27%).**

რაც **შეეხება** **ყველაზე** **ცუდ** **სიტუაციას** – **სექსუალური** **უმცირესობების** **უფლებები** **ყველაზე** **დაუცველია** **აზერბაიჯანში** **(4,7%).** **ბოლო** **ხუთეულში** **მოხვდნენ** **სომხეთი** **(7,2%),** **თურქეთი** **(8,6%),** **მონაკო** **(9,76%),** **რუსეთი** **(10,9%).**

გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება გახდეს ჩვენი პოლიტიკის პრიორიტეტი

„ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის და პარლამენტის წარმომადგენლები, თბილისის მერი და გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და შესაბამისი ინფრასტრუქტურული მზაობა გახდეს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. დღეიდანვე უკვე ვიწყებთ მუშაობას, რათა უმოკლეს პერიოდში მოხდეს არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის შეფასება, შევაფასებთ უმოკლეს პერიოდში თუ რა საჭიროება არსებობს ევროპული თანამედროვე სტანდარტის მიხედვით და რა ტიპის ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას ქვეყანაში იმისთვის, რომ მივიღოთ სწორი გაშლა და ხელმისაწვდომობა გეოგრაფიულად. რაც შეეხება ფინანსურ ხელმისაწვდომობას, ჩვენ ეს ინფრასტრუქტურა უნდა გავხადოთ ხელმისაწვდომი მთლიანად მოსახლეობისთვის, მათ შორის ეკონომიკურად შეჭირვებული ფენებისთვის. ეს არ იქნება დროში გაწელილი სტრატეგია. უმოკლეს ვადაში მოხდება შეფასება და დაიდება გეგმა, თუ რა გვჭირდება“, — განაცხა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს არსებული უამრავი კვლევის საფუძველზე, საქართველოში მიუხედავად იმისა, რომ სპორტსმენების რაოდენობა გაიზარდა, სპორტული აქტივობა საშუალო მაჩვენებლის ნახევარსაც არ უდრის.

26 მაისს 7 პრეზიდენტი და 20-მდე სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი რანგის დელეგაცია გვეწვევა

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და მოწვევით, თბილისს 7 პრეზიდენტი და 20-მდე სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი რანგის დელეგაცია ეწვევა.

„ეს არის უპრეცედენტო ფაქტი. ასეთი რამ საქართველოში ნამდვილად არასოდეს მომხდარა. ერთდროულად ასეთი ტიპის მაღალი რანგის სტუმრები საქართველოში არასოდეს ჩამოსულან. ამ კუთხით გამორჩეული იქნება 26 მაისი“, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ 26 მაისს საქართველოში ფუძნდება აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ცნობილი კრინიცას ეკონომიკური ფორუმის ბრენდი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ევროპელ ინვესტორებში საქართველოს პოპულარიზაციას.

„ეს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით განხორციელებული პროექტია და ამ ფორუმს ასევე, 26 მაისს, საზეიმო ვითარებაში გახსნიან საქართველოს, პოლონეთისა და სლოვაკეთის პრეზიდენტები და საქართველოს პრემიერ-მინისტრი“, — აღნიშნა აბაშიშვილმა.

ლეგალიზება ნიშნავს მოთხოვნას, რომ ნარკოტიკის მოხმარება იყოს ისევე კანონიერი, როგორც ქართული ღვინის!

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ მმართველი გუნდი მხარს არ უჭერს ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზებას — როდესაც ვსაუბრობთ ლეგალიზებაზე, ეს ნიშნავს მოთხოვნას, რომ ნარკოტიკის მოხმარება იყოს ისევე კანონიერი, როგორც ქართული ღვინის. ამაზე სახელმწიფოს პასუხია — არა, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

„საქართველოში ის გუნდი, რომელიც მართავს ქვეყანას, არ უჭერს მხარს იმას, რომ ნარკოტიკის მოხმარების ლეგალიზება, ანუ დაკანონება მოხდეს. როგორი მძიმე რეაქციაც არ უნდა იყოს იმაზე, არა ბატონებო — „კოკაინი“, „ჰეროინი“ და სხვა, ძალიან დიდია სია, ეს სია იზრდება ყოველდღე, ახალ გამოგონებებს გვთავაზობენ ნარკორეალიზატორები და მისი შემქმნელები, ვერ იქნება კანონიერი მოხმარება,“ — განაცხადა წულუკიანმა.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, მინისტრის თქმით, ისინი მხედველობაში უნდა იყოს მიღებული.

„რაც შეეხება დეკრიმინალიზაციას, ეს ნიშნავს, რომ მომხმარებლისთვის მოხმარებაზე არ იყოს ციხე. ეს იყო, არის და იქნება ჩემი მიდგომა 2013 წლიდან. უბრალოდ, თუ ჩვენ გავაგრძელებთ ისე მსჯელობას, როგორც აკეთებდა რამდენიმე ადამიანი, შევალთ ისევ ჩიხში. კერძოდ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მომხმარებელს სჭირდება ზრუნვა და ვინც არ არის მომხმარებელი, სჭირდება დაცვა. იმ სამუშაო ჯგუფში თუ ვიქნებით წარმოდგენილნი, ამ პოზიციას აუცილებლად დავიცავ,“ — განაცხადა თეა წულუკიანმა.

კლუბი ვერ იქნება ადგილი, სადაც პოლიცია ვერ შედის...

იუსტიციის მინისტრის თქმით, ყველაფერი კეთდება თბილისის მერ კახა კალაძესთან ერთად იმისთვის, რომ კლუბური ცხოვრება განვითარდეს. თუმცა, კლუბი ვერ იქნება ადგილი, სადაც პოლიცია ვერ შედის.მისივე თქმით, მომხმარებლების მიმართ აუცილებელია ადამიანური და ჰუმანური მიდგომა, მაგრამ ნარკოტიკი საქართველოში პოპულარული ვერ გახდება.

„ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ თბილისის მერთან ერთად იმისთვის, რომ კლუბური ცხოვრება განვითარდეს, თუმცა ეს ვერ იქნება ადგილი, სადაც პოლიცია ვერ შედის და ეს ვერ იქნება ადგილი, სადაც იყიდება სიკვდილი.

რაც შეეხება მომხმარებლებს, აუცილებელია ადამიანური და ჰუმანური მიდგომა, მაგრამ ნარკოტიკი ვერ გაპოპულარულდება ჩვენ ქვეყანაში და ნარკოტიკის მოხმარება ვერ დაკანონდება ჩვენ ქვეყანაში. ჩვენ გვჭირდება არა რადიკალიზმი, არამედ გონივრული მიდგომა და ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ ნაბიჯ-ნაბიჯ“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

სამინისტროსა და მესამე სექტორის ჯგუფი მუშაობას იწყებს

სპეციალური ჯგუფი, რომელიც შს მინისტრთან გამართული შეხვედრის შემდეგ შეიქმნა და რომელმაც 12 მაისის ღამეს, კლუბებში ჩატარებულ სპეცოპერაციზე და სამართალდამცავთა მხრიდან ძალაუფლების შესაძლო გადამეტებაზე უნდა იმსჯელოს, მუშაობას იწყებს. ჯგუფი შსს-ს წარმომადგენლებით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ წევრებით არის დაკომპლექტებული. შეხვედრა დღეს შსს-ში იგეგმება.

„ჩვენ არ გვინდა, რომ თუკი რაიმე დარღვევები იყო და რაიმე გადაცდომას ჰქონდა ადგილი ეს გადაცდომები რეაგირების გარეშე დარჩეს. ამავდროულად, თუკი ეს გადაცდომები დაგეგმილი იყო უფრო მაღალ დონეზე და ეს კონკრეტული სამართალდამცველების დონეზე მიღებული გადაწყვეტილების სფეროს ცდებოდა ამაზეც იყოს რეაგირება“, — აცხადებს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის პროექტების კოორდინატორი, იურისტი გურამ იმნაძე.

◎ შეღავათი ყველას!

... რომ იცოდეთ, ვინა ხართ!

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები პირადობის მოწმობებს უფასოდ, ხოლო პასპორტებს ფასდაკლებით მიიღებენ

იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები 15 მაისიდან პირადობის მოწმობებს უფასოდ მიიღებენ, ხოლო პასპორტებს ფასდაკლებით 50 დოლარად. ამის შესახებ თეა წულუკიანმა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

პირადობის მოწმობების უფასოდ აღებას უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები სამი თვის განმავლობაში შეძლებენ, ხოლო პასპორტებზე შეღავათიანი ფასი ორი თვის განმავლობაში შენარჩუნდება. აქცია არ ითვალისწინებს ასაკობრივ შეზღუდვას. საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აღებას უცხოეთში მცხოვრები ნებისმიერი ასაკის საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს.

თეა წულუკიანის განცხადებით, აქციის მიზანი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა სიების დახვეწა და მასში საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების უტყუარი და სანდო ბიომეტრიული მონაცემების არსებობაა.

„პასპორტისა და პირადობის მოწმობის აქცია მნიშვნელოვანი შეღავათია უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, რაც დამატებით მოტივაციას გაუჩენს მათ, განაახლონ საიდენტიფიკაციო დოკუმენტები; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კი, შესაძლებლობა ექნება, დააზუსტოს მათ შესახებ დღეისათვის ბაზაში დაფიქსირებული მონაცემები.მინდა საქართველოს მოქალაქეებს მოვუწოდო, მიიღოს მონაწილეობა აქციაში, რომ საარჩევნო სია იყოს დახვეწილი.

უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამოქალაქეების ბიომეტრიული მონაცემები პირადობის მოწმობებისა და პასპორტების აღების შემდეგ მოხვდება მონაცემთა ერთიან ბაზაში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამომრჩეველთა სიის სრულყოფას, გაზრდის მის სანდოობას. გარდა ამისა, პასპორტის ან პირადობის მოწმობების ვადის გასვლის გამო, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საზღვარგარეთ იმყოფებიან, ვერ ახერხებენ საქმის წარმოებას, საზღვრის კვეთას; ვერ სარგებლობენ ელექტრონული სერვისებით, რომელთაც მათ საქართველოს სახელმწიფო სთავაზობს. იუსტიციის სამინისტროს აქციით სარგებლობა ამ პრობლემასაც გადაჭრის“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

სტრასბურგის სასამართლოში 23 მაისს აგვისტოს ომის საქმის ბოლო ღია განხილვაა

იუსტიციის მინისტრის ინფორმაციით, 23 მაისს სტრასბურგის სასამართლოში აგვისტოს ომის საქმის ბოლო ღია განხილვა გაიმართება და სასამართლოს წინაშე მთავრობის წარმომადგენლები მათი გუნდური მუშაობის შედეგს დაიცავენ.

„23 მაისს გვაქვს მნიშვნელოვანი დღე მთელ ქვეყანას. მინდა, მედიას და თითოეულ თქვენგანს ვთხოვო მაქსიმალური ყურადღება, რადგან თავად თემა არის საყურადღებო — 23 მაისს სტრასბურგში ევროპული სასამართლოს წინაშე იმართება ბოლო და ღია განხილვა საქმისა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც არის აგვისტოს ომის საქმე.

23 მაისს გადაწყვეტილება არ ცხადდება, მაგრამ იმისთვის, რომ გადაწყვეტილება, რომელიც წლის ბოლომდე, ჩემი ვარაუდით, უნდა გამოცხადდეს, იყოს საქართველოსთვის სასიკეთო, ჩვენი სამომავლო სამართლებრივი დავებისთვის სასიკეთო, რომ იყო რეალობის და ჭეშმარიტების შესაბამისი, აუცილებელია, 23 მაისი ჩაიაროს წარმატებით ჩვენი ქვეყნისთვის. იუსტიციის სამინისტრომ ტიტანური შრომა გაწია 2013 წლიდან დღემდე ამ საქმეზე, ჩვენს სხვა კოლეგა უწყებებთან ერთად. პირველ რიგში, სამართალდამცველმა ბლოკმა ჩვენი მთავრობის — იქნება ეს პროკურატურა, შსს, სუს-ი თუ თავდაცვის სამინისტრო, რომლებმაც შევძელით მტკიცებულებების მოპოვების კუთხით, პრაქტიკულად, შეუძლებელი და რამდენიმე კომპონენტში ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერისა და დახმარების შედეგად საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან. ამ გუნდური მუშაობის შედეგი იქნება 23 მაისს, აბსოლუტურად გამართლებული პოზიცია, რომელსაც მთავრობის წარმომადგენლები დაიცავენ სტრასბურგის სასამართლოს წინაშე“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ცოდვილი ნარკომანების, „ბარიგების“ და მათი გაიძვერა ადვოკატების ტყვეობაში!..

ქეთი მურუსიძე; ვაჟა ჟამუტაშვილი; ლაშა მამულაშვილი; მიხეილ მიქაძე; ბორის დარახველიძე; თორნიკე ჩუტკერაშვილი; ჯემალ ელიავა და გიორგი მამუკელაშვილი – ასე გამოიყურება ნარკოდანაშაულში ბრალდებულების სია, რომელთა ასაკი 21-დან 30 წლამდეა. ნარკოტიკებით ვაჭრობის ფაქტზე შსს-მ 12 მაისს კლუბ „ბასიანსა“ და კლუბ „გალერიში“ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 8 ადამიანი დააკავა. ასევე გაავრცელა ფარული ჩანაწერი, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობის ფაქტი იყო ასახული.

ნარკოდანაშაულში ბრალდებული ერთ-ერთი პირის ადვოკატი ხათუნა ხურცილავა აცხადებს, რომ საქმეში არის დაინტერესებული პიროვნება და ბრალდების პირდაპირი მოწმე, რომელსაც იდენტური ჩვენებები აქვს მიცემული 8 ბრალდებულზე, იგი საქმის დეტალებზე ვერ საუბრობს, რადგან გაუთქმელობაზე აქვს ხელი მოწერილი.

ადვოკატის ბრალდებას არ ადასტურებს ბრალდების მხარე. სკანდალური საქმის პროკურორი ვახტანგ ცალუღელაშვილი აცხადებს, რომ ღამის კლუბებში სპეცოპერაციის დროს დაკავებულთა საქმეში მოწმის სახით 4 პირი ფიგურირებს. ეს მოწმეები არიან პირები, რომელთაც საკონტროლო შესყიდვები განახორციელეს ბრალდებულებისგან.

„დაკავებული პირები ღამის კლუბებში ახდენდნენ ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზებას. რაც შეეხება დაკავების ფაქტს, ყველა პირი დაკავებულია სხვადასხვა ადგილას, მათ შორის ერთი, ღამის კლუბის თანამშრომელი დაკავებულია ღამის კლუბთან. რაც შეეხება მტკიცებულებებს საქმეში მოიპოვება როგორც მოწმეთა ჩვენებები, ასევე ექსპერტიზის დასკვნები, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია. საქმეში ფიგურირებს 4 მოწმე, რომელთაც ითანამშრომლეს გამოძიებასთან. ეს ის პირები არიან, ვინც საკონტროლო შესყიდვები განახორციელეს“, – აღნიშნა ვახტანგ ცალუღელაშვილმა.

სკანდალურია საქმის მასალები, სადაც დეტალურად არის საუბარი, თუ რა რაოდენობის ნარკოტიკული საშუალების რეალიზაცია განახორციელეს ბრალდებულებმა. გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ **2018 წლის მარტიდან მაისამდე პერიოდში ბრალდებულები სხვადასხვა კლუბში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა პირებზე სისტემატურად ასაღებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. კერძოდ, ღამის კლუბ „კაფე გალერიში“ სხვადასხვა დროს ბრალდებულმა ვაჟა ჟამუტაშვილმა 0,060 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს შემცველი 2 ცალი აბი, 200 ლარად და 0,1214 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს შემცველი ასევე 2 ცალი აბი 200 ლარად გაყიდა.**

გამოძიების მასალების მიხედვით, ღამის კლუბ „კაფე გალერიში“ ბრალდებულმა ლაშა მამულაშვილმა 0,54137 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 5 ცალი აბი 600 ლარად გაყიდა; თბილისში, კოსტავას ქუჩა №75-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ბრალდებულმა ქეთი მურუსიძემ 0,0824 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 1 ცალი აბი 100 ლარად და 0,3874 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 4 ცალი აბი და აბის 2 ნატეხი 500 ლარად გაყიდა. ასევე, საქმის მასალების თანახმად, ღამის კლუბ „კაფე გალერიში“ მიხეილ მიქაძემ 0,2907 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 5 ცალი აბი 420 ლარად გაყიდა. ამავე დანაშულისთვის ბრალდებულმა გიორგი მამუკელაშვილმა 200 ლარად გაყიდა 0,2268 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 2 ცალი აბი;

ღამის კლუბ „ბასიანის“ ტერიტორიაზე ბრალდებულმა ბორის დარახველიძემ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირზე ტენამფეტამინის შემცველი 2 ცალი აბი; 0,98825 გრამი მდმა-ს, 0,15975 გრამი მეტამფეტამინის (მარილი) შემცველი 3 ცალი აბი 700 ლარად, 0,4619 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 3 ცალი აბი 650 ლარად და 0,2985 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 5 ცალი აბი 750 ლარად გაყიდა.

ასევე ღამის კლუბ „ბასიანის“ ტერიტორიაზე ბრალდებულმა თორნიკე ჩუტკერაშვილმა 0,0836 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 1 ცალი აბი 120 ლარად და 0,436 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 5 ცალი აბი 600 ლარად გაყიდა. ღამის კლუბ „ბასიანში“ ჯემალ ელიავამ 0,1055 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 2 ცალი აბი 240 ლარად, 0,2292 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 3 ცალი აბი 360 ლარად და 0,1670 გრამი ნარკოტიკული საშუალება მდმა-ს 2 ცალი აბი 240 ლარად გაყიდა.

საკონტროლო შესყიდვით პოლიციამ 5 000 ლარამდე ღირებულების ნარკოტიკი შეიძინა

სპეცოპერაციისას ნარკორეალიზაციის ბრალდებით დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. მოსამართლემ არ გაიზიარა დაცვის მხარის და ასევე ბრალდებულების შუამდგომლობა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

კლუბ „გალერის“ თანამშრომელი, რომელიც სპეცოპერაციისას დააკავეს, სასამართლოს 5 ათასლარიან გირაოს სთავაზობს. ამასთან, კლუბის დაცვის წევრმა ვაჟა ჟამუტაშვილმა მოსამართლეს სიტყვითაც მიმართა და აღკვეთის ღონისძიების სახის განსაზღვრისას ოჯახური ფაქტორის გათვალისწინებაც სთხოვა.

„მყავს შვილი და მეუღლე, რომელსაც ჩემს მეტი არავინ ჰყავს და იქნებ ეს გაითვალისწინოთ საქმის განხილვისას. მე სასამართლოს 5 ათას ლარს ვთავაზობ. ამ თანხას ვასახელებ, მაგრამ სასამართლომ თვითონ განსაზღვროს თანხის ოდენობა“, – მიმართა ვაჟა ჟამუტაშვილმა.

კიდევ ერთი ბრალდებულის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ მოსამართლეს აღკვეთის ღონისძიების სახით 10 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართა. მოსამართლეს მიმართა თავად ბრალდებულმაც და აღნიშნა, რომ გირაოს გამოყენების შემთხვევაში ის მიმალვას არ აპირებს. **„არსად ვაპირებ გაქცევას, ჩაგაბარებთ დოკუმენტაციას“,** – განაცხადა ბრალდებულმა. ბრალდებულების ადვოკატები მოსამართლის მიერ ბრალდების მხარის შუამდგომლობის გათვალისწინებას არ ეთანხმებიან. სასამართლო განჩინების ჩაბარების შემდეგ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ. ბრალდებულების ახლობლები კი მათ უდანაშაულობაზე საუბრობენ და ამბობენ, რომ სამართალდამცავებისთვის ისედაც ცნობილია, ვინ არის რეალიზატორი და მათ რეალური ნარკომოვაჭრეები უნდა დააკავონ.

„ხომ გეგმავდნენ ამ სპეცოპერაციებს, ხომ იციან ვინ არიან გამსაღებლები?! დაიჭირონ რეალური გამსაღებლები. არ გვჯერა ჩვენ, რომ იმ დღეს ადეკვატურები იყვნენ პოლიციელები. იმიტომ, რომ გამოგვყარეს, დაგვყარეს იატაკზე. ადამიანებზე თოფები ჰქონდათ მიშვერილი.

ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ იქ ყველაფერი, ახლა რასაც ლაპარაკობენ, შესრულებული იყო. იყვნენ, აბსოლუტურად არაადეკვატურები და ვერ დავიჯერებ, რომ ახლა ის ხალხი სამართალს იცავდა იქ. გუშინ, რომ მოიხადეს ბოდიში, ვნახოთ ის ბოდიში ბოდიშია რეალურად?!“, – განუცხადა ჟურნალისტებს ბრალდებულის ოჯახის ახლობელმა თინათინ ასათიანმა.

თამთა ქარჩავა

◎ პირველი შემოტევა დაძლეულია

ბიძინა ივანიშვილმა ხალხის მხარდაჭერით საქართველოს „მსოფლიო ბოროტება“ – სააკაშვილი მოაცილა!

ჩვენ, საქართველოდან გადახვეწილი ქართველები, ყოველთვის დიდი ყურადღებით ვაკვირდებით სამშობლოში განვითარებულ მოვლენებს. ამ ბოლო დღეებში განსაკუთრებით შეგვაშფოთა ე.წ. „თეთრი ხმაურის“ მიერ ორგანიზებულმა აქციებმა, რომლებიც თანდათან უარყოფით მუხტს იძენდა პოლიტიკურ მოთხოვნებზე აქცენტების გადატანის, პარალელურად მიმდინარე კონტრაქციასთან მოსალოდნელი ფიზიკური დაპირისპირების გამო, რომ გამორიცხული არ იყო, ქვეყანაში ასე თუ ისე დამკვიდრებული სიმშვიდის დესტაბილიზაცია, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანობის მოშლა და საერთო არეულობის, არაპროგნოზირებადი პერსპექტივის სტადიაში ქვეყნის გადასვლა. კიდევ ერთ, „ფერად რევოლუციას“ საქართველო ვეღარ აიტანდა.

პოლიტიკური ფონიც შესაფერისი იყო: მეზობელ სომხეთში განვითარებული მოვლენები; საქართვთველოს პარლამენტში არნახულად გააქტიურებული „ნაციონალური“ უმცირესობა; ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის მორიგი ესკალაციის ნიშნები და ა.შ.

თქვენი გაზეთის მკითხველებს, რა თქმა უნდა, ახსოვთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ხალხის მხარდაჭერითა და აქტიური მოქმედებით, საქართველოს მოაცილა „მსოფლიო ბოროტება“ სააკაშვილის რეჟიმის სახით.

საქართველომ მაისის ამ რთულ დღეებში მოსალოდნელი უბედურება რომ დაძლია, დარწმუნებული ვარ, გარკვეულწილად, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომელიც დაბრუნდა აქტიურ პოლიტიკაში და მოქმედ ხელისუფლებას რწმენა და თავდაჯერება განუმტკიცა. მთავრობის გაბედული მოქმედება ჩვენი ხელისუფლების კონსოლიდაციის პირველი, ხელშესახები შედეგია.

ოპოზიციის ლიდერების გამოსვლები 11 მაისს ტელევიზიით რომ მოვისმინე, ეჭვი შემეპარა, რომ მათ სათანადოდ აღიქვეს ივანიშვილის დაბრუნება პოლიტიკურ ასპარეზზე, სწორად ვერ შეაფასეს მისი განცხადება, რომ დესტრუქციული ჯგუფები – რევანშისტულ პოზიციაზე რჩებიან და ნეგატიური ფონის შექმნით ცდილობენ საკუთარი მიზნების მიღწევას.

სიმართლეა, რომ დემოკრატიის განვითარების დონეს ეკონომიკა ვერ ეთანადება, რომ უმუშევრობა კვლავ დაუძლეველია, არასაკმარისია სამუშაო ადგილები, ხოლო დასაქმებულთა ხელფასების დონე დაბალია, გადაუჭრელია პენსიების პრობლემა, ძვირდება ცხოვრება; გარკვეული რისკების შემცველთა სოციალური სფერო, სასამართლო სისტემა; გადასალახია მმართველობითი კრიზისი და ა.შ.

დამაიმედებელია ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომელიც საგარეო პოლიტიკის ცალმხრივობის დაძლევას გულისხმობს: „ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, შესაძლებელი გახდება ურთიერთმოსმენისა და დიალოგის რეჟიმზე გადასვლა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევის პერსპექტივას შექმნის“.

რუსეთის იგნორირება საქართველოს გაერთიანების პრობლემის გადასაწყვეტ საქმიანობაში, უგუნურებაა, ჩვენი ინტერესების გაუთვალისწინებლობა კი დანაშაულია. სწორედ აქ და ამ დროსაა აუცილებელი დიპლომატიური რესურსების აქტიური ამოქმედება და პროფესიულ დონეზე გამოყენება. ამ სფეროში მოღვაწეობის გარკვეული გამოცდილება მაქვს და დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ დაუძლეველი და შეუძლებელი აქ არაფერია. ეროვნულ პესიმიზმს, რომლის საზოგადოებაში დანერგვას ცდილობს „ოპოზიციის უღირსი ნაწილი“, უნდა დავუპირისპიროთ ეროვნული კონსოლიდაცია, რაც იმის საწინდარია, რომ „უდიდესი წარსულის ხალხს გვექნება ღირსეული მომავალი“.

პირველი შემოტევა დაძლეულია, წინ მძიმე, რუტინული მუშაობა გელით.

მურმან ომანიძე,

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი

გიორგი გახარია პარლამენტში 18 მაისს მივა

ამის შესახებ განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, გიორგი გახარია დეპუტატების წინაშე პლენარულ სხდომაზე წარდგება.

„დღეს შინაგან საქმეთა მინისტრთან კონსულტაციებით გადაწყდა, რომ შს მინისტრს საქართველოს პარლამენტი მოუსმენს პარასკევს. ის პარლამენტის წინაშე წარდგება პლენარულ სხდომაზე და არა მხოლოდ რომელიმე ფრაქციის ან კომიტეტის ფორმატში. დაისმება ყველა კითხვა, რომელიც დეპუტატებს გააჩნიათ. ვინაიდან კონსულტაციების დროს ბატონმა მინისტრმა თქვა, რომ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი აქვს, ეს კითხვები და პასუხები საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება,“ – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

რაც კარგია, კარგია!

ელექტროავტობუსმა გაამართლა – მეორე ეტაპი ახალი ტრანსპორტის ქარხნის მშენებლობაა

თბილისის მასშტაბით უკვე ერთი კვირაა, რაც ელექტროავტობუსი სატესტო რეჟიმში მგზავრებს უფასოდ ემსახურება. როგორც კომპანია „ფრეგობასის“ წარმომადგენლები ირწმუნებიან, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. მათი დაკვირვებით, ელექტროავტობუსი, დღეს ქალაქში მოძრავ საზოგადოებრივ ტრანსპორტთან შედარებით, გაცილებით ეკონომიური, ეკოლოგიური და უსაფრთხოა.

როგორც ცნობილია, ელექტროავტობუსი სატესტო რეჟიმში მუშაობს. როგორც კომპანია „ფრეგობასის“ დირექტორი მურმან პატარაია „კომერსანტთან“ აღნიშნავს, ახალი ტრანსპორტი სხვადასხვა სამარშუტო ხაზზე მონაცვლეობით მგზავრებს დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მოემსახურება.

„თბილისის სატრანსპორტო სამსახურის მძღოლები ელექტროავტობუსით სხვადასხვა სამარშუტო ხაზზე გადაადგილდებიან. კერძოდ, მიმოსვლა დაიწყო 61-ე ნომრით, რასაც მოჰყვა მე-14 ნომერი და უკვე შემდგომ 88-ე ხაზზე მუშაობა. მოგეხსენებათ, რომ დღევანდელი ეტაპი არის სატესტო რეჟიმი, რომლითაც ჩვენ ვაკვირდებით ელექტროავტობუსით მგზავრობის შედეგებს“, – განმარტავს პატარაია.

რაც შეეხება უშუალოდ შედეგებს, როგორც „ფრეგობასის“ დირექტორი აღნიშნავს, ყოველდღიური დაკვირვების შედეგებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

„მაგალითად, გუშინდელი მონაცემების მიხედვით, ელექტროავტობუსმა გაიარა 210 კმ. და აქედან დარჩენილი იყო 46 %, რითიც დამატებით 70 კმ-ს კიდევ გაივლიდა. ეს არის ფაქტობრივად წარმოუდგენელი შედეგი, რადგან ჩვენ თავის დროზე ვაანონსებდით, რომ ერთი დამუხტვით, რასაც 2-დან 3 საათამდე სჭირდება, ელექტროავტობუსი დატვირთულ მდგომარეობაში, კონდიციონერჩართული გაივლიდა 250 კმ-ს. დღეს კი ვხედავთ, რომ ყოველდღიურად ის საშუალოდ გადის 270 კმ-ს“, – აღნიშნავს მურმან პატარაია.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით და საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, მომავალ თვეში მიიღება. შემდგომი ეტაპი კი უშუალოდ ელექტროავტობუსების წარმოებაა.

„ვფიქრობ, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და შესაბამისად, რაც შეეხება ქარხანას, ვგეგმავთ წარმოებისთვის 300-მდე ადგილობრივი მცხოვრების პროფესიულ გადამზადებასა და დასაქმებას. ეს პროექტი ნამდვილად მასშტაბურია და შესაბამისად მოლოდინებიც ძალიან პოზიტიური. რას ნიშნავს ელექტროავტობუსი ეკოლოგიური თუ ეკონომიური თვალსაზრისით, ყველასთვის ხომ ისედაც გასაგებია?! შედარებისთვის, ყოველ 100 კმ-ზე იხარჯება 20 ლარამდე ელექტროენერგია მაშინ, როცა გაზისძრავიანი ტრანსპორტის შემთხვევაში ღირებულება 105 ლარს აღწევს“, – განმარტავს პატარაია.

ელექტროავტობუსი, რომელიც სატესტო რეჟიმში დაახლოებით ერთი თვე იმოძრავებს ქალაქის ქუჩებში, მგზავრებს უფასოდ ემსახურება. ამასთან, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხელმისაწვდომია ვაიფაიც.

კომპანია“ფრეგობასმა“ ჩინური კორპორაცია ZTE Corporation-სა და გერმანულ EURABUS-თან ერთად საქართველოში ელექტროავტობუსიების წარმოება 2017 წლის ნოემბერში დააანონსა.

სალომე ლემონჯავა

ლისის ტბის ტერიტორია მშენებლობისთვის მინიმუმ 6 თვით დაიხურა

ასე იცის სიხარბემ და გადამლაშებამ!

თბილისის საკრებულომ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების შეზღუდვის ვადა დაადგინა. 4 მაისს მიღებული სამშენებლო აკრძალვა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 6 თვით იმოქმედებს. ამ პერიოდში დედაქალაქის მთავრობა გამოსავლის პოვნას შეეცდება.

აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიზღუდა: განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება; დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით და მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, პირველი კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა).

შეზღუდვა არ ვრცელდება საცხოვრებელ ზონებზე, რომლისთვისაც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა“ და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა და განაშენიანების სავალდებულო ხაზები; მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის; ასევე მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, – ნათქვამია საკრებულოს გადაწყვეტილებაში.



ლისის ტბის მიმდებარედ ქაოსური განაშენიანების საკითხს დედაქალაქის მერი კახი კალაძე მარტში გამოეხმაურა და ამ ტერიტორიაზე განაშენიანების შეზღუდვაც დააანონსა. პარალელურად მსგავსი აკრძალვა ამოქმედდა დიღმის ჭალებში. მტკვრის კალაპოტსა და ვერეს ხეობაში გაცემული ზონალური შეთანხმების გასაბათილებლად კი ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო.

„ლისის ტბის გარშემო მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ დგას იმ ბუნებრივი მახასიათებლების გაქრობის საფრთხე, რის გამოც ლისი, როგორც სარეკრეაციო სივრცე, მიმზიდველია თბილისელებისთვის. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა მიმდებარე ტერიტორიებზე ქაოსური განაშენიანების პროცესის შეჩერება და განვითარების სწორ კალაპოტში მოქცევა. ამიტომ, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია, რომ ლისის არეალში დროებით შეჩერდეს განაშენიანების პროცესი“, – თქვა კახი კალაძემ.

მერიაში მიაჩნიათ, რომ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ ქაოსური განაშენიანებაა. ამიტომ აუცილებელია, ქალაქმშენებლობა ხორციელდებოდეს იმგვარად, რომ არა მარტო კომფორტული იყოს დედაქალაქში ცხოვრება, არამედ გაიზარდოს მისი ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალი, პარალელურად კი დაცული იყოს დედაქალაქის, კერძო მესაკუთრისა და ინვესტორის ინტერესები.

„ეს სამი მიმართულება ჰარმონიაში უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან, რომ ქალაქი სწორად განვითარდეს“, – აღნიშნა კალაძემ.

მერიისა და საკრებულოს ერთობლივ გადაწყვეტილებას მიესალმებიან ურბანისტები. მათი თქმით, მსგავს ტერიტორიებზე ძალიან ბევრი კანონდარღვევაა და ამიტომ დედაქალაქის ხელმძღვანელობა ახლა ცდილობს, გამოსავალი მოძებნოს.

„მივესალმები ქალაქის მერის გადაწყვეტილებას ლისის ტბის არეალში განაშენიანების პროცესის შეჩერების თაობაზე. ის, რომ ნაკვეთები გაყიდულია, ეს არის იმ ხელისუფლების დანაშაული, ვინც ეს გაყიდა. ახალმა ხელისუფლებამ გამოსავალი უნდა მოძებნოს. საკუთრების ფორმა არ განსაზღვრავს ამ ნაკვეთების გამოყენების რეჟიმს. შეიძლება, ადამიანს იქ საკუთრება ჰქონდეს, მაგრამ იმის გამო, რომ მშენებლობა არ შეიძლება, შერჩება ეს ადგილი ისე, რომ ვერაფერს ააშენებს. თუმცა, მაინც შეუძლია, ბაღი გააშენოს, ხეები დარგოს. თუ უფრო მეტზე წავა ქალაქის მმართველობა, შეიძლება დაფიქრდეს ადგილმონაცვლეობაზე ან ადგილების გამოსყიდვაზე“, – აცხადებს ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაქრაძე და დასძენს, რომ ლისის ტბის შენარჩუნების მიზნით ქაოსური განაშენიანების აკრძალვა სწორი, მაგრამ დაგვიანებული გადაწყვეტილებაა.

ბექა დანელია

თბილისის მეტროს საბურთალოს ხაზზე განახლებული მოძრავი შემადგენლობები მოემსახურება

თბილისის მერმა კახა კალაძემ ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის წარმომადგენლებთან ერთად ახალი ვაგონები დაათვალიერა და მოდერნიზაციის პროცესს გაეცნო.

15 მაისიდან საბურთალოს ხაზზე მოსახლეობას ორი, სამვაგონიანი განახლებული მოძრავი შემადგენლობა მოემსახურება. ვაგონები სატრანსპორტო კომპანიის მფლობელობაში არსებული ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანაში განახლდა. კახა კალაძემ მედიის წარმომადგენლებთან ერთად, განახლებული ვაგონით მეტროსადგურ „დიდუბემდე“ იმგზავრა.

საქართველო-უზბეკეთის ბიზნესფორუმი – თბილისში

თბილისში საქართველო-უზბეკეთის ბიზნესფორუმი გაიმართა. ღონისძიება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ნინო ჩიქოვანმა და უზბეკეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილემ უტკირ ბუტაევმა გახსნეს.

უზბეკეთის ბიზნესდელეგაციის წევრებს შორის იყვნენ უზბეკეთის ეროვნული ავიაკომპანიისა და ეროვნული სარკინიგზო კომპანიის მმართველი პირები. ასევე წარმოდგენილი იყო სხვა მსხვილი სექტორები. მათ შორის: საავტომობილო ინდუსტრია, მსუბუქი მრეწველობა, ალკოჰოლური პროდუქციის წარმოება, ფარმაცევტიკა, ელექტროტექნიკის წარმოება და სამშენებლო მასალების წარმოება. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა უზბეკური და ქართული კომპანიების შეხვედრა, სადაც ორივე მხარეს მიეცა საშუალება, დაემყარებინათ საქმიანი კომუნიკაცია და სამომავლო პარტნიორობის პერსპექტივები განეხილათ. ღონისძიება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველო-უზბეკეთის ბიზნესასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა.

უზბეკეთის ბიზნესსექტორის ნაწილი საქართველოში სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა, რომლებიც 14 მაისს ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-8 სხდომაში იღებდნენ მონაწილეობას.

ლია ელიავა: არასტაბილურ, ღარიბ ქვეყანაში ადამიანების ფინანსური ძარცვა მიღებული პრაქტიკაა

ბანკის ვალის მქონე მოსახლეობის სიჭარბით საქართველო მსოფლიოში მეორე ადგილზეა. ჩვენთან ყოველ 1000 კაცზე 676 მოსახლეს ბანკის ვალი აქვს, კომერციული ბანკების მოგების ზრდა კი დაკავშირებულია სწორედ მოსახლეობის ჭარბვალიანობასთან. 2012 წლის შემდეგ ეროვნულმა ბანკმა სრულიად უყურადღებოდ დატოვა მოსახლეობა ჭარბვალიანობის პრობლემის წინაშე. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო აქტიური საბანკო შეთავაზებები — „გთავაზობთ სესხს შემოსავლების დადასტურების გარეშე“.

ფინანსისტების ნაწილი ჭარბვალიანობას საქართველოსთვის დიდ პრობლემად არ მიიჩნევს. მათი აზრით, ადამიანები სესხს არა ინვესტიციის, განათლების მისაღებად ან ქონების შესაძენად იღებენ, არამედ პირველადი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ეს ხშირად ჩვენაში გადასდით. ეს მაშინ, როცა არ შეიძლება სესხი ქეიფისა და დროსტარებისთვის აიღო. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას კარგად არა აქვს გააზრებული, რა არის სესხი და როცა მას იღებენ, არ იციან, როგორ დაფარონ.

როგორ ვებრძოლოთ ჭარბვალიანობას და რას მოგვიტანს კომერციული ბანკებისთვის დაწესებული ახალი რეგულაციები?! ამის შესახებ საბანკო სფეროს ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა გვესაუბრება.

— ხშირად ჩვენთან საპროცენტო ხარჯი 300-400%-ზეც ადიოდა საურავების, ჯარიმების, საკომისიოების გათვალისწინებით და არ არსებობდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი, ე.წ. ჭერი. ახლა ამ ზღვარის დაწესების აუცილებლობაზე ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე საუბრობს. ამას ემატება სესხის გაცემის პროცედურის გართულება, რაც ექსპერტთა აზრით, პრობლემებს შეუქმნის იმ მოქალაქეებს, რომელთაც შემოსავლები აქვთ, მაგრამ ოფიციალურად არ წარმოაჩენენ ამ შემოსავლებს. ამ რეგულაციებით ვინ დარჩება მოგებული?

— ეროვნული ბანკის რეგულაციებს უნდა ველოდოთ, სანამ ისინი ამ რეგულაციებს რეალურად მიიღებენ, რადგან კაცი ბჭობდა, ეროვნული ბანკი იცინოდაო — რას დაწერენ, კაცმა არ იცის. თეორიულად, სესხის გაცემა შემოსავლის დადასტურების გარეშე სულაც არ არის მხოლოდ საქართველოში მოგონილი პრაქტიკა. მაგალითად, ამერიკაში თავისუფლად აძლევდნენ სესხებს შემოსავლის არმქონე პირებს, ან პენსიონრებს. 80 წლის ადამიანს აძლევდნენ იპოთეკურ სესხს 25 წლის ვადით. მეორე მომენტია, რომ ჩვენს ეროვნულ ბანკს დღემდე ოფიციალურად დაშვებული აქვს კომერციული ბანკების ღია სესხის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე. ეს დაშვება შეადგენს მათი საკრედიტო პორტფელის 25%-ს. ანუ 25%-ის ფარგლებში უზრუნველყოფის გარეშე ბანკებს შეუძლიათ გასცენ სესხი და ბანკები მოითხოვენ თუ არა ცნობას შემოსავლების შესახებ, ამას უკვე ეროვნული ბანკი ვერ აკონტროლებს. ეს პროცესი მიშვებულია.

თუმცა ის ფაქტი, რომ გამსესხებლებმა გარკვეული გარანტიის საფუძველზე უნდა იმუშაონ, ეს თვითონ საფინანსო სექტორის ხელშემწყობი ფაქტორია, ანუ მათი სტაბილურობის გარანტია მცირე შემოსავლის მქონე ადამიანები, რომელთაც დიდი რაოდენობით სესხის აღება სურთ ოჯახური ან ბიზნესის პრობლემის მოსაგვარებლად, სესხის აღების შესაძლებლობას მოკლებულნი იქნებიან. როდესაც ადამიანი ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას, როცა არ შეუძლია თუნდაც სარეცხი მანქანის, ავტომობილის ყიდვა, ან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ის აგრესიული ხდება. ეს დაგროვილი აგრესია კი გადაიზრდება ხოლმე სოციალურ აფეთქებაში. ეს თეორიები საკმაოდ კარგად არის დამუშავებული. ადამიანს როდესაც არ აძლევ იმას, რაც მას სურს მატერიალური ყოფის გასაუმჯობესებლად, ყოველთვის მატულობს აგრესია. ამიტომ შესაძლებელია, რომ სესხის გაცემისას შემოსავლის შესახებ ცნობის მოთხოვნამ გამოიწვიოს ის, რომ მოხდეს მოსახლეობის ლუმპენიზაცია.

ჩვენ ისედაც დაბალშემოსავლიანი და ღარიბი ერი ვართ და შეიძლება მოსახლეობა მთლად გაღატაკდეს მატერიალური თვალსაზრისით. ეს ყოველთვის ნეგატიურ სოციალურ შედეგს გამოიწვევს. ადამიანი, რომელსაც ქონება არა აქვს, არაფერი მის ზურგს უკან არ არის, ადვილად აყოლიებადი და ადვილად გამოყენებადია სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური მიზნებისთვის. თქვენ მკითხეთ, თუ ადამიანი შემოსავალს ვერ აღასტურებს, უნდა გასცეს თუ არა ბანკმა სესხი? ამას ჰქვია „რუხი შემოსავალი“, ანუ უკანონო შემოსავალი, რომლითაც ადამიანი არ იხდის გადასახადს. ქუჩის გამყიდველები, ბაზარში მდგომები, ტაქსისტები არ იხდიან გადასახადებს, ისინი არ არიან აღრიცხულნი როგორც ინდივიდუალური მეწარმეები ან სხვა ფორმის მეწარმეები, მათი „რუხი შემოსავლები“ სახელმწიფოსგან დამალულია, რაც სისხლის სამართლებრივ დევნას ექვემდებარება. ასეთ შემთხვევებს სახელმწიფო საერთოდ არ უნდა განიხილავდეს, ეს შემთხვევები სალაპარაკოც არ უნდა იყოს.

— ცალკეულ ადამიანს მართლაც შეიძლება გაუჩნდეს პროტესტის გრძნობა, რატომ არ უნდა იხდიდნენ სხვა ადამიანები საშემოსავლოს მაშინ, როცა თავად პატიოსნად იხდის საკუთარი შემოსავლიდან გადასახადს.

— ბუნებრივად ყველა ადამიანს გაუჩნდება ასეთი კითხვა. ამავდროულად, იმ სარგებლით, რასაც ჩვენ ვიღებთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ანუ საერთო შემოსავლებიდან, ხომ ყველანი ერთნაირად ვსარგებლობთ?! ამიტომ საუბარიც არ შეიძლება ასეთ რამეზე. რუხი ანუ ჩრდილოვანი შემოსავალი, პირდაპირ ვთქვათ, უკანონო შემოსავალი არც უნდა განიხილებოდეს ისევე, როგორც ნარკოტიკების, პროსტიტუციისა და იარაღის გაყიდვისგან მიღებული უკანონო შემოსავლები.

— როგორც ჩანს, საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარის დაწესება საქართველოში კვლავაც პრობლემად დარჩება და პირველ ეტაპზე სახელმწიფოს მხოლოდ ამ ზღვარის განახევრება შეუძლია. ეს საკმარისია იმისთვის, რომ სესხი იმ ოდენობით გაიცეს, რაც მოქალაქეს ტვირთად არ დააწვება?

— ცივილიზებულ ქვეყნებში შემოღებულია ასეთი ცნება — სამევახშეო პროცენტი. ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დონის სამევახშეო პროცენტია. ითვლება, რომ სამევახშეო პროცენტი ეკონომიკურად გაუმართლებელი და სოციალურად უსამართლოა და ის უნდა დაექვემდებაროს რეგულირებას. რა სახის რეგულირებაზეა აქ საუბარი? საფრანგეთის მაგალითს მოგიყვანთ. იქაური კანონმდებლობით, სისხლის სამართლის კოდექსში გაწერილია სამევახშეო პროცენტის დაწესება. თუკი ამ პროცენტამდე მივა რომელიმე გამსესხებელი საკრედიტო დაწესებულება, ჯერ მას შესთავაზებენ, დასწიოს სამევახშეო პროცენტი, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, დაიწყება სისხლის სამართლებრივი დევნა. ანუ სახელმწიფო იცავს თავის მოსახლეობას ბიზნესის მხრიდან ძარცვისგან, რადგან ეს არის სუფთა წყლის ძარცვა, მეტი არაფერი. შესაბამისად, თუ საქართველოში დაწესდება სამევახშეო პროცენტის ზღვარი, ეს გონივრული იქნება.

20%-ის იქით ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ეს უკვე არის სამევახშეო პროცენტი. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომერციული ბანკები ეფექტური 25-30%-ის ოდენობით იძლევიან სესხს, რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკი ასეთ გადაწყვეტილებაზე არ წავა. მაგრამ 50%-ითაც რომ შემოიფარგლოს სამევახშეო სარგებელი, ეს უკვე პროგრესი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს რეალობისთვის. ამიტომ ყოველნაირად მივესალმები ასეთი სახის რეგულაციებს.

— დღეს ჭარბვალიანობაზე ბევრს საუბრობენ, მაგრამ ჭარბვალიანობა როგორ უნდა მოისპოს ქვეყანაში, როცა უამრავი ჩვენი მოქალაქე ხელფასის 80%-ს სწორედ ბანკის ვალის გასტუმრებაზე ხარჯავს? გარდა ამისა, თუკი სესხის გაცემის პროცედურა გართულდება და მოითხოვენ შემოსავლების დეტალურ ანალიზს, სამუშაოს დაკარგვის შემდეგ განწირული იქნება ეს ადამიანი?

— ამ პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე ეტაპს ვხედავ, რომელიც აუცილებლად გასავლელია. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა კეთილი ინებოს, შეიწუხოს თავი და შექმნას სახელმწიფო საკრედიტო ბიურო, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა სახის მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ატარებს კონფიდენციალურ ხასიათს ყველა ვალის შესახებ და არა ისე, როგორც ახლა „კრედიტ ინფო საქართველო“ არიგებს ამ ინფორმაციებს მათზე, ვინც მათ ფულს გადაუხდის. მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ზღვარის დაწესება, თუ რა ოდენობის სავალო ტვირთი შეიძლება ჰქონდეს ადამიანს. ეს გულისხმობს იმას, მისი შემოსავლების რამდენი პროცენტი უნდა მიდიოდეს ვალის მომსახურებაზე.

ცივილიზებულ ქვეყნებში მაქსიმუმ 30% ითვლება მისაღებ პროცენტად ვალის გადახდისთვის, ანუ, თუ ხელფასის სახით ხელზე ასაღები თანხა თქვენთვის 1000 ლარს შეადგენს, მაშინ სასესხო ვალდებულებებისთვის 300 ლარის ყოველთვიური გადახდა თქვენთვის ნაკლებად მტკივნეული იქნება. შესაბამისად, ეროვნულ ბანკს როდესაც ექნება დაწვრილებითი ინფორმაცია მსესხებლის ვალების შესახებ, ხოლო კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს აეკრძალებათ სესხის გაცემა იმ შემთხვევაში, თუ პიროვნების სავალო დატვირთვა აღემატება მისი შემოსავლის 30%-ს და ამ ინფორმაციას ისინი გამოითხოვენ ეროვნული ბანკიდან, ჭარბვალიანობის პრობლემაც თავისთავად გაქრება.

ეს ნიშნავს, რომ ადამიანი აღარ მივა თავისი ცნობით ხელფასის შესახებ ხუთ ბანკში ერთდროულად, არ გამოიტანს თანხას და მერე არ იტყვის, რა ვქნა, ვეღარ ვიხდი ამ ხუთ კრედიტსო. ეს პრობლემაც მოიხსნება. ჭარბვალიანობა იმიტომაც აწევს მოსახლეობას ძალიან მძიმე ტვირთად, რომ საპროცენტო განაკვეთი ძალზე მაღალია. ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც კრედიტი ძალიან იაფი ღირს, მოსახლეობა იღებს ვალებს, ამ ვალებით, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრება ცხოვრობს და ვერც კი გრძნობს ვალის სიმძიმეს. პირიქით, ცხოვრობს კომფორტულად, იცის რა, რომ 10-30 წლის განმავლობაში ყოველთვიურად რაღაც პატარა თანხას იხდის იმ კომფორტისთვის, რომელიც შეიქმნა. შესაბამისად, სანამ საქართველოში არ დაიწევს კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი, ჭარბვალიანობის პრობლემა ყოველთვის იარსებებს, როგორც მწვავე სოციალური პრობლემა. აქ განსაკუთრებულ ძვრებს არ უნდა ველოდოთ და არ უნდა გვეგონოს, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებით მოვაგვარებთ ჭარბვალიანობის პრობლემას.

რატომ არ გამოდის ეროვნული ბანკი ინიციატივით, დააწესოს საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი? თუნდაც ზედა ზღვარი იყოს 10-12%, მაგრამ საკრედიტო დაწესებულებებს ისეთივე მადა აქვთ, როგორც სხვა ბიზნესს. ბუნებრივია, ბიზნესი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს რაც შეიძლება ნაკლებ დროში. ასეთ არასტაბილურ, ღარიბ ქვეყანაში ადამიანების ფინანსური ძარცვა მიღებული პრაქტიკაა.

— ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ კარგა ხანია, დაიწყო კამპანია ბანკების წინააღმდეგ. მისი თქმით, საქართველოში არსებული საბანკო სისტემა ჩვენი ეკონომიკის მუხრუჭია. ეს კომერციული ბანკების მარწუხებისგან მოსახლეობის გათავისუფლების მიზნით წამოწყებულ რეალურ ბრძოლად მიგაჩნიათ, თუ არის ამაშიც პოპულისტური ზრახვები?

— როგორ გითხრათ, რომ არა მინისტრის თანამდებობა, ალბათ, არავინ მიაქცევდა ასეთ საუბარს ყურადღებას. ადამიანს აქვს თანამდებობა და ამ თანამდებობის ძალით მისი სიტყვები ჟღერს მასმედიაში. თუკი მას აქვს უნარი, იბრძოლოს, მაშინ იბრძოლოს და გააკეთოს რაღაც, მაგრამ ეროვნული ბანკის გარეშე, ფაქტობრივად, ვერაფერს გააკეთებს. ეს ნათქვამიც მხოლოდ სადღეგრძელოებისა და ლოზუნგების ფორმით დარჩება.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

მოტყუებულო მომხმარებელო! რამდენიც გინდა იტირეთ, კომერციულ ბანკებს ეს სულ „ქინძზე“ ჰკიდიათ!

ასე ამბობდა უინსტონ ჩერჩილი

„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

ვინ იყო უინსტონ ჩერჩილი?

სერ უინსტონ ლეონარდ სპენსერ-ჩერჩილი მთელ მსოფლიოში ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1940-1945 და 1951-1955 წლებში სამხედრო, ჟურნალისტი, მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, ამასთანავე, იყო სწორუპოვარი მეაფორიზმე, ენაკვიმატი და იმპროვიზატორი. იმის გონებამახვილურ და ბრძნულ გამონათქვამებს დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალობა. სწორედ ჩერჩილის ამ აფორიზმებსა და გამონათქვამებს გთავაზობთ ამ კრებულის სახით...

უინსტონ ჩერჩილი დაიბადა 1874 წლის 30 ნოემბერს ბლენჰეიმში (ოქსფორდშირის საგრაფო). მანამდე, სანამ შეძლებული მშობლები ნორჩ იუნსტონს სენ-ჯორჯის სკოლაში მიაბარებდნენ სასწავლებლად, რვა წლამდე ძიძა ზრდიდა. ბრაიტონის სხვა სკოლაში გადასვლის შემდეგ ჩერჩილი ჰეროუს სკოლაში სწავლობდა. სწორედ იქ ცოდნასთან ერთად იგი ფარიკაობასაც დაეუფლა და წარემატა კიდეც. 1893 წლიდან უინსტონ ჩერჩილი სამეფო სამხედრო სასწავლებლის მოწაფეა. ამ სასწავლებლების დამთავრების შემდეგ უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

ოცნებობდა რა პოლიტიკურ კარიერაში მამის ჯობნაზე, უინსტონს თავი წარმოდგენილი ჰქონდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის თანამდებობაზე. ამ ოცნების განსახორციელებლად სწრაფვა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩერჩილს ერთსა და იმავე თანამდებობაზე დიდხანს ყოფნა შეუწყნარებლად მიაჩნდა, თუ ეს თანამდებობა უსწრაფეს წინ წაწევას არ ჰპირდებოდა კარიერის კიბეზე. მან მუდამ მკაფიოდ იცოდა, რაც უნდოდა თავისი ცხოვრებისგან, ამიტომ არავითარი შიში არ ჰქონია, როცა ისეთ ძლიერ გადაწყვეტილებას იღებდა, ხელისუფლების მწვერვალზე ასვლაში ხელს რომ შეუწყობდა.

სათავგადასავლო წყურვილი, მშვიდი ცხოვრების საწინააღმდეგოდ, რაც აგრერიგად არ უყვარდა უინსტონ ჩერჩილს, აიძულებდა, რომ აბარგებულიყო სულ ახალ და ახალ შთაბეჭდილებათა საძებნელად. სამხედრო კორესპონდენტობა ზედგამოჭრილი იყო იმისთვის, რათა მოვლენათა შუა გულში ყოფილიყო. თანაც კიდევ კარგი ფული ეკეთებინა. ამას გარდა, სიმშვიდედარღვეული სამხედრო დრო, „თავის სასარგებლოდ“ ვითარებათა მარჯვედ გამოყენების წყალობით, ნოყიერ ნიადაგად იქცა ახალგაზრდა უინსტონის პოპულარობის მკვეთრი ზრდისთვის. აგრე, მაგალითად, ინგლისბურების ომის ერთ-ერთი ბოლო შეტაკების შემდეგ ტყვედ ჩავარდნილმა ჩერჩილმა გაქცევა მოახერხა, ხოლო მერე ნიჭიერად და კანთიელად აღწერა ამ მოვლენათა პერიპეტიები. ეს გახდა თავის თავზე თავისი გულდაჯერებული განცხადება პოლიტიკურ წრეებში, ხოლო ესოდენ მარჯვედ მოპოვებულმა პოპულარობამ პარლამენტში მოსახვედრად გაუხსნა გზა. არა მარტო პოპულარობის ზრდას, არამედ უინსტონ ჩერჩილის სხვა მოცადობამაც შეუწყო ხელი იმის საბანკო ანგარიშების შევსებას, მაგალითად, ლექციების აქტიურმა კითხვამ, რის დროსაც განუწყვეტლივ სრულყოფდა იგი ორატორულ ხელოვნებას.

ჩერჩილი ყოველთვის გამოირჩეოდა პატივმოყვარეობით, რაც მთელი იმის მოღვაწეობის მთავარი ბიძგი გახდა. ამ ადამიანს მუდამ ჰქონდა თავისი მოსაზრება და თავისი იდეები: „მე ის მწამდა, რაც მინდოდა, რომ მეწამა და გონებისთვის იმ გზით სვლის საშუალება მიმეცა, რომელი გზის ადევნებაც შეეძლო“. ინგლისელი ხალხის მართვა იყო ჩერჩილის ცხოვრების მთავარი მიზანი, რომლისკენაც იგი თავისი კარიერის დასაწყისიდანვე მიისწრაფოდა, გულწრფელად სწამდა რა, რომ დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი დიდი შვილი იყო: „ისტორიას ქმნიან დიდი ადამიანები ანდა გმირები“.

დასახული მიზნისკენ სწრაფვა ჩერჩილისგან მოითხოვდა მუდმივ მოძრაობას წინ, და არაძალას არ შეეძლო იმისი შეჩერება. პოლიციის მინისტრად ყოფნისას იგი იმდენად ხისტი იყო, სისასტიკეს არცრა უკლდა რა. გაფიცვების ჩასახშობად პოლიციელები სწორედ მინისტრ ჩერჩილის ბრძანებით ისეთ ხერხებს მიმართავდნენ, რომელთა შინაარსიც კარგა გვარიანად სცილდებოდა აუცილებლობის ჩარჩოებს — სასტიკი ცემატყეპით უსწორდებოდნენ კაცებსაც და ქალებსაც. პირდაპირ საკვირველი იყო, რომ ამ უდავოდ მრავალფეროვანი ნიჭიერებით დაჯილდოებულ ადამიანს სულ ადვილად შეეძლო ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის გაფუჭება და მთელ მსოფლიოში მუშათა თავის წინააღმდეგ განწყობა. თუ რა ძლიერად სძულდათ უბრალო ადამიანებს იგი თავიანთი უფლებების მიმართ იმის მკვახე-მკვახე გამონათქვამთა გამო, თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამერიკაში სერიული გამოსვლების დროს ჩერჩილს მოსაკლავად დაესხნენ თავს.

ვინაიდან ჩერჩილს სამხედრო მოქმედებათა წარმოების გამოცდილება არა ჰქონდა, სამხედრო ფლოტის მეთაურის თანამდებობაზე იმისმა დანიშვნამ სამხედრო წრეებში პროტესტი და გულისწყრომა გამოიწვია. თუმცა, ამასთანავე, აღტაცებას იწვევდა ის ამბავი, რა დამაჯერებლად ასაბუთებდა იგი სამხედრო კაბინეტში შესატან წინადადებებს. ამ საქმეში ტოლი არ ჰყავდა თვით საუკეთესო იურისტებს შორის. „პირადად მე მზად ვარ სწავლისთვის, მაგრამ, რა ვქნა, არ მომწონს, როცა ჭკუას მასწავლიან“, — ამბობდა ჩერჩილი. ამით ის თავის შეუწყნარებლობას ავლენდა თავის საკუთართაგან კოლეგების განსხვავებულ შეხედულებათა მიმართ.

ჩერჩილი ყოველთვის პირადად წერდა თავის საჯარო გამოსვლებს, ჩვეულებად ჰქონდა თავისი აზრების ქაღალდზე გადატანა. გამოსვლების ფორმისა და შინაარსის დეტალური მოფიქრება ორატორს ეხმარებოდა, თავისი აზრები საუკეთესოდ დაეწყო და დაეფორმულებინა, რაც მთელ პოლიტიკურ კარიერაზე საჭირო ეფექტს ახდენდა. უებროდ ფლობდა რა ორატორული ხელოვნების მუღამს, ის აგერთვე გამოირჩეოდა ძალზე რაციონალურ იდეათა წამოჭრის უნარით. მაგალითად, სამხედრო კაბინეტში სამსახურის დროს ჩერჩილმა თავისი გაიტანა და სამხედრო-საზღვაო ხომალდები ნახშირიდან ნავთობზე გადააყვანინა. ამან მნიშვნელოვანი უპირატესობა მიანიჭა დიდი ბრიტანეთის ფლოტს პირველ მსოფლიო ომში. ჩერჩილის სახელს უკავშირებენ აგრეთვე ავიაციის განვითარებას და თანამედროვე ტანკის შექმნის იდეას. უინსტონ ჩერჩილის მიერ წამოყენებული და დანერგილი არაერთი იდეის წყალობით ინგლისი სერიოზულ საბრძოლო უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიის წინააღმდეგ, რაც, რა თქმა უნდა, აისახა ომის დაბოლოებაზე.

უინსტონ ჩერჩილის თავბრუდამხვევი პოლიტიკური კარიერა, აგრეთვე ისიც, რომ დასახული მიზნებისკენ პირდაპირ ჯიქურ მიდიოდა, ბუნებრივია, ოპოზიციურ წრეებში კრიტიკასა და გმობას იწვევდა. გამოიყენეს რა ჩერჩილის მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილი შეცდომები, კონსერვატიული პარტიის წევრებმა იმდენი ქნეს, რომ იგი მთავრობიდან გამოიყვანეს. ეს მოვლენები დიდი დარტყმა გამოდგა ჩერჩილისთვის, ცოტა არ იყოს, თავმოყვარეობა შეელახა. გარკვეული დროით იგი საფრანგეთში წავიდა, იქ ჯარში დაიწყო სამსახური, რა არის გონს მოსულიყო და ახალი ძალები მოეკრიბა. მდგომარეობის შეცვლამ ნამდვილად არგო ჩერჩილს, კვლავ განუმტკიცდა რწმენა, რომ ის მხოლოდ პოლიტიკოსი უნდა ყოფილიყო. ჩერჩილის დაბრუნება პოლიტიკურ სარბიელზე გაბედული და ენერგიული ნაბიჯი იყო: ის კვლავ სამინისტროში აღმოჩნდა, განაგრძო თავისი აქტიური მოღვაწეობა. „აღმა მიმავალი გზა ხირხატია, ქვიანი, არცროდის არ იცი, სად მოგელის სასწაული!“ — ამბობდა ჩერჩილი იმ სიძნელეთა პასუხად, გზად რომ აწყდებოდა: არცთუ მარტივი დამოკიდებულებანი კოლეგებთან და ხალხთან, არჩევნებში წარუმატებლობა და კიდევ ბევრი სხვა რამ.

როგორც ვიცით, ჩერჩილმა მოახერხა თავისი მიზნის მიღწევა — თავისი ქვეყნისთვის ფრიად საშიშ დროს, მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს ჟამს იგი სათავეში ჩაუდგა ინგლისს. იმ საშინელ დღეებში, როცა გერმანელთაგან დაბომბილ დიდ ბრიტანეთში ყოველდღიურად უამრავი მშვიდობიანი მცხოვრები იღუპებოდა, ბევრი არწმუნებდა ჩერჩილს, დანებდი ჰიტლერს, შეწყვიტე ეს უაზრო ხოცვა ჩვენი მოქალაქეებისაო. ამ დაყოლიების მსურველთა პასუხად გაჩნდა ჩერჩილის განთქმული ფრაზა, დროთა განმავლობაში გაუკვდავებული: **„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“** და მართლაც, როგორც მერე დრომაც გვიჩვენა, ის არა მარტო არ დანებდა, არამედ ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორიც გახდა, რომელმა კოალიციამაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ომის მსვლელობაში. ჩერჩილი პირადად აწარმოებდა მოლაპარაკებებს სტალინთან და რუზველტთან, რათა ომის განმავლობაში შერიგებოდა საბჭოთა კავშირს და თავის მხარეს გადაეყვანა ამერიკის შეერთებული შტატები, შეექმნა მოკავშირეთა გაერთიანებული ჯარები, რომელნიც, როგორც მერე გვიჩვენებს ისტორია, ნაცისტურ ვერმახტზე ბევრად ძლიერნი გამოდგნენ.

ჩერჩილი მუდამ იმის მოსურნე იყო, ყველაფერი ერთბაშად მოეპოვებინა, ამიტომ დროდადრო იმის პოლიტიკურ მოღვაწეობაში ვლინდებოდა ერთგვარი აჩქარება. თავისი მოჩქარეობის მიზეზს რომ განმარტავდა, ჩერჩილი ამბობდა, დიდხანს სიცოცხლის იმედი არა მაქვს, ხორცშეასხმელი გეგმები კი ძალიან ბევრი მაქვსო. თუმცა უპრიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი ცხორვების სიგრძეზე ის სავსებით ჯანმრთელად გრძნობდა თავს და ძალებმოზღვავებული იყო. ასეთი ჩინებული ფიზიკური ფორმის საიდუმლოება დასვენების რაციონალურ მოგვარებაში იმალვოდა: ჩერჩილს ჩვეულებად ჰქონდა ხანმოკლე დასვენება შუადღისას და თავს ბალიშზე დადებდა თუ არა, ეგრევე იძინებდა, რაც ბევრთაგან ნამდვილად შესანატრი თვისება იყო. თანამედროვენი განცვიფრებული იყვნენ ჩერჩილის ფენომენალური შრომისუნარიანობით. მაგალითად, წიგნს მეორე მსოფლიო ომზე წელიწადი და სამი თვე წერდა, ყოველდღე ღამის ორ საათამდე მუშაობდა. თავის პირად ეფექტურობაზე ჩერჩილი ხუმრობით ამბობდა: „მე არცროდის ფეხზე არა ვმდგარვარ, როცა ჯდომა შეიძლებოდა, და არცროდის არა ვმჯდარვარ, როცა წოლა შეიძლებოდაო“.

ბევრისთვის ჩერჩილი კერპი გახდა. ამ მართლაც საოცარი ადამიანის თაყვანისმცემელთა შორის აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი პრეზიდენტი ჯონ კენედიც, რომელიც გატაცებით კითხულობდა ინგლისის პრემიერ-მინისტრის შრომებს და გულწრფელად ამბობდა, ჩერჩილის ლიტერატურულმა ოსტატობამ ხელი შემიწყო ჩემს ამაღლებაშიო. კენედის ძალიან უყვარდა ჩერჩილის ეს გამონათქვამი: „როცა ერები ძლიერნი არიან, ისინი ყოველთვის არ არიან სამართლიანნი, ხოლო როცა უნდათ, რომ სამართლიანნი გახდნენ, მაშინ ხშირად არ არიან უბრალოდ ძლიერნი“. ყურადღსაღებია, რომ შრომისუნარიანობის გაძლიერებისთვის ჯონ კენედიმ ჩერჩილისგან გადაიღო დღისით ერთი საათით წაძინების ჩვეულება.

უინსტონ ჩერჩილი იმ ადამიანის ბრწყინვალე, კანთიელი მაგალითია, ვინც თავად შეიქმნა თავისი თავი, ხორცი შეასხა თავის მიზნებს და სასურველ მწვერვალებს მიაღწია. გაბედულების, ვაჟკაცობისა და უდრეკი ნებისყოფის ცოცხალ განსახიერებას ხშირად უყვარდა თქმა: „არც როდის ქედი არ მოიხარო წარუმატებლობის წინაშე“. შესაძლებელია, სწორედ თავისი თავის რწმენამ და უშრეტმა ოპტიმიზმმა შეაძლებინეს ესოდენ ხანგრძლივი მოვლენებითა და მიღწევებით სავსე ცხოვრება, ჩერჩილი 1965 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა.

თავისი დაჟინებულობისა და გულდაჯერებულობის წყალობით უინსტონ ჩერჩილმა უამრავი ადამიანი აიძულა, რომ სრულიად სხვაგვარად შეეხედათ თავიანთი თავისთვის, გულში სიყვარული გაეღვივებინათ და საკუთარი თავის რწმენა გასჩენოდათ.

გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და ნობელის პრემიის ლაურეატმა და მწერალმა უინსტონ ჩერჩილმა შეძლო თავისი სახელის ჩაწერა მსოფლიო ისტორიაში. ძალიან ბევრ ადამიანს მთელ დედამიწის ზურგზე დღემდე უყვარს ჩერჩილის აფორიზმები და გამონათქვამები, რომელთაც ცხოვრების არაერთი მომენტის უკეთესად გაგებისთვის იყენებენ. აი, სწორედ ამ აფორიზმებს და გამონათქვამებს, ერთ კრებულად შეკრულს, ვთავაზობთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს. ვინც გულდასმით წაიკითხავს, უთუოდ შეატყობს თავს, რომ ბევრად უფრო თვალმახვილი დამკვირვებელი გახდება იმ ყველაფრის მიმართ, რაც ჩვენ გარშემო ხდება და, ამასთანავე, შთაგონების ახალ წყაროთაც ეზიარება.

(გაგრძელება იქნება)

„ახალი ბანა“ მთელმა საქართველომ უნდა ააშენოს!

მეუფე სვიმეონი:

„აქ არ არსებობს „მე“, ვართ მხოლოდ „ჩვენ“!

შარშან ზაფხულში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით, ხაშურის მახლობლად საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრის „ახალი ბანას“ მშენებლობას. საქართველოს შუაგულში ახალი სამონასტრო კომპლექსის აღმშენებლობის იდეის ავტორის, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსის სვიმეონის ჩანაფიქრით, იგი ისტორიული ბანას საყდრის ერთგვარი ორეული, ხალხის სულიერი თუ საერო ცხოვრების თავისებური ბურჯი უნდა გახდეს, რომლის შემორჩენილი ნანგრევები ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

სწორედ ბანას ძველთაძველი ტაძარი და სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი კომისიის ორგანიზებით,11 მაისს გამართული სამეცნიერო კონფერენციის თემა, რომელმაც დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია და რომლის მუშაობაში მეცნიერებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მაღალი რანგის ღვთისმსახურებმაც მიიღეს.

ბანას სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა.**

— ხაშურის მახლობლად ტყეში „ახალი ბანას“ სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა ჩვენი თანამედროვე ისტორიის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტია, — აღნიშნა სწავლულმა ისტორიკოსმა. — მოგეხსენებათ, თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ მხარეში ტაო-კლარჯეთში დღესდღეობით არაერთი ძეგლია შემორჩენილი, მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაგრატოვანთა სამეფო გვარის პირველი მეფის მიერ აგებული ბანას ტაძარი. აქვე აუცილებლად დიდი გულისტკივილი მინდა გამოვთქვა იმის გამო, რომ ზოგიერთ თანამედროვე კვლევასა თუ გამოცემაში ის, რატოღაც... სომხურ ტაძრად მოიხსენიება, რაც ძალზე სამწუხაროა. როგორც ჩანს, თავის დროზე სულმნათი ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი „ქვათა ღაღადი“ მავანთ შეგონებად არ ეყოთ. არადა, იმაში, რომ ბანაც და ოშკიც ორივე ქართული ძეგლია, არავითარი ეჭვი არ არსებობს. თავის დროზე მკვლევარი ველიჩკო თავის წიგნში ხაზგასმით აღნიშნავდა, სომხები ქართულ ეკლესიებს თავისად ასაღებენ, ითვისებენ მათ,

რაც ყოვლად დაუშვებელია ისევე როგორც ის, რომ ეგრეთ წოდებული „დიდი სომხეთის“ დედაქალაქად... თბილისს აცხადებენო. კიდევ უფრო მეტად აღმაშფოთებელია, რომ ბევრი სომეხი ისტორიკოსი ამჟამადაც ამ აბდაუბდის მტკიცების მცდარ გზას განაგრძობს და, ასეთ ვითარებაში, „ახალი ბანას“ სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, მისი დატვირთვა მრავალჯერადად იზრდება.

აკადემიკოს როინ მეტრეველის შესავალი სიტყვის შემდეგ, კონფერენციის მონაწილეთ ამ ერთადერთი ქართული მრგვალი ეკლესიის, ისტორიული ბანას ტაძარზე გადაღებული მოკლე დოკუმენტური ფილმი აჩვენეს.

დამსწრეთა უდიდესი ყურადღება, რა თქმა უნდა, „ახალი ბანას“ სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის აღმშენებლობის სულისჩამდგმელის, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსის სვიმეონის გამოსვლამ გამოიწვია:

— ღვთის მადლითა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დღეს საშუალება გვაქვს, რომ ყველამ ერთად სასიკეთო რამე გავაკეთოთ ერისთვის, ყველამ ერთობლივად გავაგრძელოთ საქართველოს ისტორია, თითო აგური მაინც დავდოთ მომავლისთვის. ბატონ როინ მეტრეველის თქმისა არ იყოს, საქართველოს დღესდღეობითაც ბევრი მტერი ჰყავს და, იმის მიუხედავად, რომ ახლა ქვეყანაში ბევრი ეკლესია შენდება, თავისი მნიშვნელობით „ახალი ბანა“ მაინც განსაკუთრებულია. ისტორიული ბანა ტაო-კლარჯეთში გამორჩეული ტაძარი, ციხე-სიმაგრე და ქალაქი იყო. ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხაშური საქართველოს გეოგრაფიული ცენტრია, იქ სულიერებისა და განათლების ახალი დიდი კერის შექმნა სიმბოლური დატვირთვის მქონე უდიდესი ეროვნული საქმეა. დღევანდელი დღე არის როგორც შემეცნების, ასევე სამომავლო გეგმების დასახვის დღეც, რომლებიც „ახალი ბანას“ მოღვაწეობას განსაზღვრავენ. როგორც იცით, „ახალი ბანას“ აღდგომის სახელობის სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრი, ქართული ისტორიული მემკვიდრეობის უდიდესი საგანძურის, ტაო-კლარჯეთში ბანას ტაძრის ორეული იქნება. ახალ სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსს მრავალფუნქციური დატვირთვა ექნება, რომლის მიზანია მომავალი თაობებისთვის ძველი ბანას ისტორიული მნიშვნელობის გაცნობა და ეკლესიაში საგანმანათლებლო და კულტურული კერის ჩამოყალიბება. ამასთან, ქვეყნის მთავრობამ უკვე მოგვმართა იმის თაობაზე, რომ „ახალ ბანაში“ მნიშვნელოვანი სახელმწიფო შეხვედრებიც გაიმართოს. ცენტრში იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და სტანდარტებით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზები და ბიბლიოთეკა, აშენდება უპოვართა სახლი და კათარზისი, რომელიც ეპარქიის ტერიტორიაზე მცხოვრებ მიუსაფარ ბენეფიციარებს მფარველობას გაუწევს.

საქმიანი შეხვედრების, სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, „ახალი ბანას“ სტუმრებს ტაძრის მოლოცვის, ღვთისმსახურების დასწრების, მონასტრის ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისა და უმშვენიერეს ბუნებაში განტვირთვის შესაძლებლობა ექნებათ. კომპლექსის ბაზაზე იარსებებს ტრადიციული ეროვნული რეწვის საამქროები, სადაც ყველა მსურველს შეეძლება საკუთარი ხელით შეეხოს უძველეს ისტორიასაც და, ამავდროულად, თავადაც სცადოს ახალი ნაკეთობის შექმნა. „ახალი ბანა“ თავისი არსებობით ასევე ხელს შეუწყობს თეოლოგიურ და სხვა სამეცნიერო დარგებში საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მინდა, ამ საქმისთვის მეტად მნიშვნელოვანი თითოელი თქვენგანის თანდაგომა გთხოვოთ: „მე“ აქ არ არსებობს, ვართ მხოლოდ „ჩვენ“, რადგან „ახალი ბანა“ ყველას გამაერთიანებელ ცენტრად უნდა იქცეს.

მინდა, კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა გადავუხადო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, თითოეულ მღვდელმთავარს, მთავრობის წარმომადგენელს და ცალკე მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას თანადგომისა და მხარდაჭერისთვის, საზოგადოებისთვის „ახალ ბანასთან“ დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაში დახმარებისთვის — სამების ტაძრის შემდეგ მსგავსი საჯარო განხილვა არცერთ სხვა ტაძარს არ ჰქონია. საქართველოს თანამედროვე ისტორიისთვის „ახალი ბანას“ მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომლის ისტორია ყოველდღიურად იწერება.

„ბანა — პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და საეკლესიო ცენტრი“ — მოხსენებით წარდგა პროფესორი **ბუბა კუდავა.** მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ისტორიულ ტაძარს, რომელიც ბანასა და იშხანის ეპარქიის ცენტრი იყო, გარდა საეკლესიოსი, სხვა დატვირთვაც ჰქონდა, თანაც იგი არა მარტო არქიტექტურის ძეგლია, არამედ უდიდესი პროვინციის ცენტრიც იყო.

ბანა ქართველ მეფეთა სამფლობელო და მათი მშობლიური ადგილი იყო. ტაძარში სამეფო ჯვრისწერები იმართებოდა, რაც მის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს. იმხანად ბიზანტიას ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მიტაცებული ჰქონდა, ამდენად ბანა ქართველთათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტიც იყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ბუბა კუდავამ რამდენიმე ისტორიული წყარო მოიყვანა და სათანადო ანალიზიც ჩაატარა. მომხსენებელმა ასევე იმედი გამოთქვა, რომ ბანას საკონსერვაციო სამუშაოები უახლოეს დროში დაიწყება, ხაზი გაუსვა იმას, რომ ტაძრის არქიტექტურასთან დაკავშირებით სოლიდური მოცულობის კვლევითი სამუშაოებია ჩასატარებელი, რასაც დიდი დრო დასჭირდება. მან იმასაც მიაპყრო ყურადღება, რომ საქართველოს სხვა ისტორიულ პროვინციებთან შედარებით, ტაო-კლარჯეთი ნაკლებადაა შესწავლილი, ამდენად, მეტად საგულისხმო იყო ბანას ტაძრის გარშემო საფორტიფიკაციო ნაგებობათა რაობის, იქ ქალაქის ტიპის დასახლების არსებობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა.

პროფესორ **ზაზა სხირტლაძის** მოხსენება **„ბანას საკათედრო ტაძრისა და ოშკის ფრესკის“** განხილვას მიეძღვნა, მან, კერძოდ, ხაზი გაუსვა იმას, რომ ბანა ქართული ხუროთმოძღვრების სწორუპოვარი ძეგლია, რომელიც ჩვენ დრომდე, სამწუხაროდ, ნანგრევების სახითღაა შემორჩენილი. სავარაუდოდ, ბანა XI საუკუნეში მდიდრულად მოხატული უნდა ყოფილიყო. მომხსენებელმა ოშკის საყდრის ფრესკის შემორჩენილი ნაწილებიც განიხილა და კონფერენციის მონაწილეთ მათი ანალიზი შესთავაზა, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაში ტაო-კლარჯეთის საყდრების როლსა და მათ შორის, ცხადია, ბანას მნიშვნელობაზე ილაპარაკა.

„ახალი ბანას“ არქიტექტურა“ გახლდათ არქიტექტორ **ლევან ჯანხოთელის** მოხსენების თემა, რომელმაც განიხილა არქიტექტორ ვახტანგ ცინცაძის მიერ XX საუკუნეში შესრულებული ბანას ტაძრის რეკონსტრუქციის გარკვეული ასპექტები, ილაპარაკა საყდრის დღევანდელ სავალალო მდგომარეობაზე, მისი უკეთ შესწავლის პერსპექტივებზე, რასაც აუცილებლად შეუწყობს ხელს მომავალში ჩასატარებელი არქეოლოგიური კვლევები, რომელთა წარმოება ამჟამად შეუძლებელია.

სიტყვით გამოსულმა **მეუფე ანანიამ** ილაპარაკა „ახალი ბანას“ მშენებლობის ერთწლიან ისტორიაზე, მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის მნიშვნელობაზე ქვეყნისა და მომავალი თაობების ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

— გვმართებს წარსულზე ფიქრი, ვინაიდან საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ერთი ნაწილი დღესაც კი გამოდის და საჯაროდ ემართლება ქართულ ეკლესიას სხვადასხვა ტაძარს. ახლა კი ისინი დედაქალაქის ცენტრში საყდრის გრიგორიანული ეკლესიისთვის გადაცემას მოითხოვენ და ესეც რომ გაუვიდეთ, 100-200 წლის შემდეგ იმასაც გვეტყვიან — აი, ნახეთ, თუ სად იყო ოდითგანვე ჩვენი კულტურული ცენტრიო!

— ესეც იმის მსგავსი იქნება, როგორც XIX საუკუნეში საქართველოში თურქეთიდან გამოქცეული სომხები სამცხე-ჯავახეთში რომ დასახლდნენ, ახლა კი გაიძახიან — ჯავახეთი ოდითგანვე სომხური მიწა-წყალი იყოო! იგივე უნდა ითქვას ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთზეც“; ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დრო იყო, როცა „ამ ძირძველ ოსურ“ ქალაქ ცხინვალში სულ... სამად-სამი ოსური ოჯახი ცხოვრობდა! არადა, თავად ჩრდილოეთ ოსეთშიც კი ეს ხალხი სულაც ორი ათასი წლის წინათ ჩასახლდა, თქვა ბოლოს აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.

— ჩვენთვის მიწა-წყლისა და ისტორიულ-რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლთა მითვისების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველას ერთად დადგომა გვმართებს. ამ საერო საქმეში საპატრიარქო მარტოა, ამიტომაც მთელი ჩვენი საზოგადოება მას გვერდში უნდა ამოუდგეს! „ახალი ბანა“ ამ სასიკეთო საქმეს უკვე აკეთებს და მკვიდრად ადუღაბებს საზოგადოების ფართო ფენებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ერისთვის, — აღნიშნა მეუფე გრიგოლმა.

— ყოველივე, რაც ქართულ ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებით მავანთა მხრიდან ხდება, ეს უკვე მეცნიერება კი არა, ნამდვილი ომია, რომელშიც მეზობელთა შემოტევების მოგერიება გვიწევს. ამიტომ საჭიროა, უფრო აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო თავყრილობებში, მეტი გამოვცეთ სათანადო ლიტერატურა, ვთარგმნოთ ის და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გავხადოთ. თუმცა კი ისიცაა, რომ ამას საკმაოდ სოლიდური სახსრები სჭირდება, რომელიც ჩვენს მეცნიერებას, სამწუხაროდ, არ გააჩნია...

ოთარ ტურაბელიძე

სურათებზე: სამეცნიერო კონფერენციის დროს

საქართველო უნდა გაუფრთხილდეს ამერიკისგან მტკიცე მხარდაჭერას!

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი „ქართულმა ოცნებამ“ პარტიის თავმჯდომარედ აირჩია. პოლიტიკაში ოფიციალურად დაბრუნების მიზეზად ბიძინა ივანიშვილმა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად ხელისუფლების შიგნით არსებული გაუგებრობები დაასახელა. მან დაადასტურა არსებული ვერსია, რომ ქართული ოცნების შიგნით ერთმანეთს სხვადასხვა ჯგუფი უპირისპირდებოდა.

ვაშინგტონში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე ოფიციალურ დაბრუნებას აფასებენ და ამბობენ, რომ ერთი ადამიანის გარშემო ძალაუფლების კონცენტრაცია დემოკრატიული წინსვლისთვის საზიანოა.

აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებაში ოფიციალურ თანამდებობაზე იმყოფებოდნენ ადამიანები, რომლებიც არიან გადაწყვეტილების რეალური მიმღებნი. **„მნიშვნელოვანია, რომ პირებს, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებაში და მთავრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ოფიციალური თანამდებობა ეკავოთ. დასავლეთის მხარდაჭერა შესაძლოა, შემცირდეს, თუ დასავლეთში იფიქრებენ, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები რეალურად არ არიან გადაწყვეტილების მიმღები“,** — აცხადებს უილიამ კორტნი.

საერთაშორისო ორგანიზაციები და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ბიძინა ივანიშვილის მიერ მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულების მიღმა გავლენის ქონასა და არაფორმალურ მმართველობაზე, ხშირად საუბრობდნენ. „ფრიდომ ჰაუსის“ 2018 წლის ანგარიშში საუბარია „კულისებს მიღმა“ მმართველობაზე: „მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტი 2014 წელს დატოვა, მაგრამ იგი კონტროლს ინარჩუნებს მმართველ „ქართული ოცნების“ პარტიაზე“.

აშშ-ის კენანის ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი და საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩი კენეტ იალოვიცი ამბობს, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის საჭიროა, პოლიტიკური სისტემა არ იყოს აგებული ერთ ადამიანზე: **„საქართველოში არის მიდრეკილება დიდი ფიგურებისადმი, როგორიც იყო გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი და ახლა ივანიშვილი. მე იმედი მაქვს, რომ საქართველო მალე გახდება ქვეყანა, სადაც ხელისუფლება არ შემოიფარგლება ერთი ადამიანით... არ მინდა, შედარება გავაკეთო პუტინთან, თუმცა პუტინი ერთადერთია, რომლის გარშემოც რუსეთში ხდება ერთიანობის შენარჩუნება და ივანიშვილიც ასე ხედავს სიტუაციას, რომ ის უნდა დაბრუნდეს და „ქართულ ოცნებაში“ ერთიანობა შეინარჩუნოს“,** — თქვა მან. **„საქართველო წინ მიიწევს... ხელისუფლების, ძლიერი ოპოზიციის და გამჭვირვალობის კუთხით საქართველომ მუშაობა უნდა გააგრძელოს. თუ ივანიშვილი დაბრუნდა, იმედი მაქვს ეს დროებითია“,** — ამბობს იალოვიცი.

ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურ პოსტზე დაბრუნებას პოზიტიურს უწოდებს სვანტე კორნელი, ამერიკის საგარეო პოლიტიკის ცენტრის უფროსი მკვლევარი, რომელიც ამბობს, რომ არაფორმალური მთავრობიდან ფორმალურ პოზიციაზე გადასვლა დადებითი სვლაა. **„მსგავსად მიხეილ სააკაშვილისა („ქართულ ოცნებაში“) არის ტენდენცია გადაწყვეტილებების არაფორმალურად მიღების და არაფორმალური სტრუქტურების, რაც ცუდია, რადგან არ არსებობს ანგარიშვალდებულება. თუმცა სვლა არაფორმალურიდან ფორმალურ ანგარიშვალდებულებისკენ, ვფიქრობ, პოზიტიურია“,** — ამბობს ის.

კითხვაზე, თუ რამდენად გააქრობს ბიძინა ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარის პოზიციაზე არჩევა დასავლეთში არაფორმალური მმართველობის გარშემო არსებულ შეშფოთებას, სვანტე კორნელი პასუხობს: **„ფაქტი, რომ ივანიშვილი ოფიციალურად პარტიის თავმჯდომარეა, მიუხედავად იმისა, რომ მას ოფიციალური პოსტი არ უკავია მთავრობაში, აჩვენებს, რომ მას აქვს ძალზედ გავლენიანი როლი და რომ ის გადაწყვეტილებებს იღებს“.**

მიმომხილველთა ნაწილი საუბრობს იმ გრძელვადიან შედეგებზე, რაც ხელისუფლების ერთი პირის გარშემო კონცენტრაციას შეიძლება მოჰყვეს. ლუკ კოფის, „ჰერიტიჯის ფონდის“ საგარეო პოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელის თქმით საჭიროა ხელისუფლება, ისევე როგორც ოპოზიცია იყოს პლურალისტული. **„ნებისმიერ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური მოძრაობა, მისი იდენტობა ერთი ადამიანის გარშემოა გაერთიანებული, ეს ძალიან საშიშია. ამან შეიძლება არასტაბილურობა გამოიწვიოს. არ ვამბობ, რომ ამ ეტაპზე ამას აქვს ადგილი, ივანიშვილის დაბრუნებით, თუმცა ზოგადად მნიშვნელოვანია რომ პოლიტიკური მოძრაობა იყოს მრავალფეროვანი და პლურალისტური, იქნება ის მთავრობაში თუ ოპოზიციაში,“** — აცხადებს ლუკ კოფი.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა საქართველოსა და რუსეთში ჯონ ტეფტმა თბილისს მოუწოდა, მხედველობაში მიიღოს ვაშინგტონის მოსაზრებები, რათა შეინარჩუნოს ფართო მხარდაჭერა, რომელიც თბილისს ამერიკისგან აქვს. **„ამ კონფერენციაზე გამომსვლელების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საქართველომ გააგრძელოს დემოკრატიული სისტემის, ღირებულებების და მრავალპარტიული სისტემის მშენებლობა. ვფიქრობ, ვაშინგტონში ამას დიდ ყურადღებას აქცევენ, რასაც მთელი პოლიტიკური სპექტრი იზიარებს, რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც. საქართველოს აქვს მტკიცე, ორპარტიული მხარდაჭერა და ამას უნდა მოუფრთხილდეთ“,** — თქვა მან.

„RADIO VOICE OF AMERICA“ (აშშ)

2008 წლის აგვისტოს ომმა მოდერნიზებული რუსული მოიერიშეების არაეფექტურობა წარმოაჩინა

ჩინური გამოცემის, „Sohu“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია რუსეთის სამხედრო ავიაციის განვითარების საკითხები, კერძოდ, მოიერიშე თვითმფრინავის Су-25-ის მოდერნიზება მისი ახალი ვარიანტის — Су-25СМ3-ის სახით, რომელზეც 1,6 მილიარდი რუბლი დაიხარჯება. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ უკვე 2019 წლის ნოემბრისათვის 4 მოდერნიზებული მოიერიშე თვითმფრინავი უნდა მიიღოს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ლი ჟენის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

პუბლიკაციაში აღნიშნულია Су-25 ტიპის თვითმფრინავების მოდერნიზებასთან დაკავშირებული პრობლემები: „მიუხედავად იმისა, რომ პავლე სუხოის საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც Су-25 თვითმფრინავებს ქმნიდა, რუსეთში მდებარეობს, თვითმფრინავის მწარმოებელი ქარხანა საქართველოშია, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს საქართველოსთან ძალიან დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა, ამიტომაც მოსკოვმა ვერ შეძლო თავის დროზე განეხორციელებინა Су-25-ის გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს Су-25 ტიპის 200 თვითმფრინავი დარჩათ, შესაბამისად, რუსებს არ შეეძლოთ მდიდარი მემკვიდრეობის იგნორირება. როცა ავიაგამანადგურებელ МиГ-27-ის უტილიზაცია განხორციელდა, რუსეთმა დარჩენილი Су-25-ების მოდერნიზებაზე ფიქრი დაიწყო. პირველი მოდერნიზება მხოლოდ 2002 წელს განხორციელდა (121-ე სარემონტო ავიაქარხანაში) და 2005 წლისათვის რუსეთის სამხედრო ავიაციამ გაუმჯობესებული Су-25СМ-ები მიიღო.

მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, Су-25СМ-ებს ნაკლი აღმოაჩნდათ: 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს (ერთი მხრივ - საქართველოს, ხოლო, მეორე მხრივ — რუსეთს, სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს შორის), Су-25СМ-ებმა არაეფექტურობა გამოავლინეს: ჯერ ერთი, რომ მათ არ ჰქონდათ თანამედროვე რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემა და მეორე — მოძველებული აღმოჩნდა მათი სამიზნე კომპლექსი. Су-25СМ-ების ამ ნაკლმა გამოიწვია ის, რომ საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ძალებმა სამი მოიერიშე ჩამოაგდეს, რამდენიმე კი დაზიანეს, რომლებმაც ძლივს მოახერხეს საბაზო აეროდრომზე დაბრუნება.

ცხადია, ამგვარი არასასიამოვნო შედეგი რუსებისათვის კონფუზი იყო, მათი იმიჯის შელახვა. ამიტომაც, სამხედრო მოქმედებათა დასრულების შემდეგ, რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა Су-25СМ-ების მოდერნიზება და მის საფუძველზე Су-25СМ3-ების შექმნა გადაწყვიტეს. მიზანი წარმატებით განხორციელდა: თვითმფრინავი აღიჭურვა თანამედროვე სამიზნე-სანავიგაციო კომპლექსით, რომელიც მოწინააღმდეგეს სატელევიზიო და თბოვიზორული არხებით „იჭერს“, მის ბორტზე დამონტაჟდა რადიოელექტრონული ბრძოლის ახალი სისტემაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჩამოგდებული თვითმფრინავების პრობლემა თვით ამ ტიპის (ანუ Су-25-ების) თვითმფრინავებში კი არ მდგომარეობდა, არამედ იმაში, რომ ზოგადად, სხვა საშუალებების განვითარების კვალობაზე, მოიერიშე „მძიმე“ ავიაციის გამოყენების არეალი მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, სირიაში, სადაც სწორედ უახლესი ტექნიკით მოდერნიზებული Су-25СМ3-ები მონაწილეობენ, მათ მაინც არ შეუძლიათ ყველა რაკეტის „დაჭერა“ და მათი განადგურება. ნიშანდობლივია, რომ ისრაელი, საუდის არაბეთი, ჩინეთი და აშშ ახლო მანძილზე ავიაშეტევებისათვის წარმატებით იყენებს უპილოტო ავიაციას, რაც ნიშნავს, რომ ის ერა, როცა მოიერიშე და მოიერიშე-ბომბდამშენი ავიაცია ჰყვაოდა, დღეს უკვე თავის დაისს მიუახლოვდა.

სამწუხაროა, რომ რუსეთს, რომლის წინააღმდეგ დასავლური სანქციები მოქმედებს, თანამედროვე უპილოტო საფრენი აპარატების შესყიდვა არ შეუძლია. მართალია, ისინიც საკმაოდ ძვირია, მაგრამ მფრინავის მსხვერპლის თავიდან აცილების გარანტიას იძლევა. რუსეთი საკუთარ უპილოტო თვითმფრინავებს ქმნის, მაგრამ მუშაობა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ამიტომაც რუსებს სხვა გზა ჯერჯერობით არა აქვთ — გააგრძელონ თავიანთი მოიერიშეებით სარგებლობა.

„SOHU“ (ჩინეთი)

თედო სახოკიას ჰარმონია

ალბათ, ასეთი იყო სამყაროს შექმნა — ჰირველად იყო სიტყვა, შემდეგ მძლავრი აფეთქება, ქაოსი, არეული გალაქტიკების შფოთი, ბოლოს სინათლე, ულამაზესი ფერები და ჰარმონია, სიწყნარე, სიმშვიდე და სიყვარული. დანარჩენი ყველაფერი შემდგომია, უკვე ეოვლისშემოქმედის ტკბობის საგანი, ტკბობა მის მიერვე შექმნილისა, გინდაც მეტეორების წვიმა იყოს, გინდაც კოსმიური და შორეული ვარსკვლავების ლანდშაფტი.

* * *

ძუთათელაძის ქუჩას მივუყვები, მაისის მოქუფრული საღამოა, აი, ისეთი, თითქოს წვიმას აპრებს და გაფრთხილებს, სადღაც შეეფარეო, თანაც ვერ ბედავს და დრო გაჰყავს ჩაფიქრებულის ასასრულებლად. მხატვართა კავშირის საგამოფენო სივრცე „ოპიზარში“ ახალგაზრდა, თვითნასწავლი მხატვრის თედო (კოლხი) სახოკიას პირველი პერსონალური გამოფენა იხსნება, ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა მხატვარმა და ანსამბლ „ოპიზარის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა თემრაზ დევდარიანმა მიმიწვია — მოდი, არ ინანებ ერთი ახალგაზრდა, თვითნასწავლი მხატვრის საოცარი ნახატების ხილვის მომსწრე გახდებიო.

პირველი გამოფენა, პირველი ინტერვიუ და პირველი... აღიარება

დარბაზში თითო-ოროლა კაცი ტრიალებს (ერთი საათით ადრე მივსულვარ), საოცარი ტილოებია, გარეთ გამოვდივარ და თემრაზს ვურეკავ — აქ მეორე დარბაზიც ხომ არ არის, რაღაც ეს გამოფენა პატარა, თვითნასწავლი ბიჭის ნახატებს არ ჰგავს და არც პირველ პერსონალურ გამოფენას-მეთქი. მხატვართა კავშირის შენობიდან გამოდის საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარესთან გურამ ცერცვაძესთან ერთად, ეღიმება — არ დაიჯერე ხომ, ასეთი ტილოები რომ ექნებოდა?!

საოცარია...

საოცარია, თუ გავითვალისწინებთ ტილოების რაოდენობას, შესრულების ტექნიკას, მხატვრის ასაკსა და იმას, რომ თედომ ხატვა სულ სამი წელია, რაც დაიწყო. მანამდე ფუნჯთან, ტილოსთან და საღებავებთან არავითარი შეხება არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მამა, ზვიად სახოკია შესანიშნავი მხატვარია, მაგრამ, როგორც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, ისიც გაჭირვებამ საზღვარგარეთ გახიზნა და უკვე ოცი წელია, საბერძნეთში ცხოვრობს მეუღლესთან ერთად. პატარა თედო სენაკში იზრდებოდა, აქვე დაამთავრა სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მეორე საშუალო სკოლა, თბილისში სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, საბანკო საქმეს სწავლობდა, წარმატებითაც, რადგან ეს სფერო აინტერესებდა, პარალელურად მუშაობდა, მოხუც ბაბუას ეხმარებოდა, მშობლების გამოგზავნილი თანხა არც თავის სარჩენად ყოფნიდა და არც სწავლის საფასურის გადასახდელად. სწავლას თავი მიანება და მშობლებთან წავიდა, იქ ვიმუშავებო და ცოტა ხანს საქმეც აეწყო, ამდენი ხნის უნახავი დედმამაც ნახა, პატარა ბიზნესსაც შეჰბედა, ბავშვობიდანვე ჩანერგილი და გასისხლხორცებული შრომისმოყვარეობის იმედიც ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფობამ შეუტია — სისხლძარღვების შევიწროება დაემართა. სასწრაფოდ ოპერაცია იყო საჭირო და ახლობლებმა, მშობლების მეგობრებმა და კეთილმა ხალხმა, გადაწყვიტეს ავსტრიაში ემკურნალათ. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა...


„ლანდშაფტი...“


„კალიპტო“

„გატეხილი გული“

„არ ვიცი, რა მოხდა, რაღაც უკიდეგანო სივრცე თუ იყო, იქნებ გალაქტიკა, რომელიღაც უცნობი სამყარო, კოსმოსი. ამ რაღაც ზებუნებრივი ძალის მიერ მოწყობილ ჰარმონიაში ვიღაცის ხმა მესმის — შენ ხომ მხატვარი ხარ, ადექი და დახატე! — არც ბრძანებაა, არც შეკითხვა, რაღაც მოთხოვნისმაგვარი. ხმას ვერ ვიღებ, რომ მხატვარი არ ვარ და, საერთოდ, ერთი ხაზიც არ გამივლია ფუნჯით, ყველაფერი ეს ჩემგან შორსაა, მაგრამ პასუხს ვერ ვცემ“, — მორიდებით მიყვება და მიყურებს, დავიჯერებ თუ არა. მე ვიჯერებ, რადგან „პირველად იყო სიტყვა“, მეორედ ის, რომ თედომ ფუნჯსა და საღებავებს მოჰკიდა ხელი და მესამეც — გაოგნებული ავსტრიელები, როდესაც რამდენიმე დღეში მისი შესრულებული აბსტრაქტული ტილოები იხილეს და სახელდახელოდ პატარა გამოფენაც მოუწყვეს, ყველა ნახატი იმ პატარა დაბის მცხოვრებლებს გადასცა საჩუქრად, სადაც უცხოეთში ცხოვრობდა.

შემდეგ, მშობლებთან დაბრუნდა, დაბრუნდა, როგორც ჩამოყალიბებული მხატვარი, სამშობლოში კი სულ ორიოდე წელია, ჩამოვიდა, ცხოვრობს თბილისში, პაწაწკინტელა ოთახში 91 წლის გამზრდელ ბაბუასთან ერთად და ხატავს. ხატავს დაუღალავად, შეუძლია, შუაღამეს გაიღვიძოს და დილამდე ხატოს. „ოპიზარის“ სივრცეში მისი ორმოცდაათამდე ტილო დაეტია. გამოფენის მოწყობისთვის მამის თანაკურსელმა თემრაზ დევდარიანმა იზრუნა. მისი რამდენიმე ნამუშევარი თავის კოლეგებს გააცნო, შემდეგ ბატონ გურამ ცერცვაძეს ეახლნენ.

„გამიკვირდა, ისეთი სრულყოფილი ტილოები ვიხილე, მის ნამუშევრებში ნათლად იკვეთება ახალგაზრდა მხატვრის საკუთარი სტილის ძიების სურვილი, იმპულსური დამოკიდებულება გარემომცველი სამყაროსადმი. იგი ჩამოყალიბებული მხატვარია, სულ ახლახან საქართველოს მხატვართა კავშირის წევრადაც მივიღეთ. საოცარი პიროვნებაა“, — იტყვის **გურამ ცერცვაძე** პირველი პერსონალური გამოფენის გახსნაზე და დასძენს, რომ ყველა შემოქმედისთვის მათი საგამოფენო სივრცის კარი ღიაა.

„მე გამაოცა ფერთა საოცარმა გარდასახვამ, ძნელია, დაიჯერო, რომ თედოს უმაღლესი განათლება კი არა, დაწყებითი განათლებაც არა აქვს მიღებული ხატვაში. საოცარი აბსტრაქციებია, ჩამოყალიბებული, ძიების პროცესში მყოფი. შეიძლება, კარგიცაა სამხატვრო სკოლებში რომ არ უვლია და ვინმეს გავლენა არა აქვს, იგი თვითნასწავლი და თვითმყოფადი მხატვარია, საოცარი ხედვის მქონე. თუ ისურვებს, პროფესიული განათლების მიღებას, ჩვენ მზად ვართ გვერდით დავუდგეთ“, — მართლაც აღფრთოვანებას ვერ მალავს ქალბატონი **თინათინ კლდიაშვილი,** თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. მისი შეფასება კი მართლაც წონიანია და პირუთვნელი.

„ოპიზარის“ საგამოფენო დარბაზი მართლაც ვერ იტევდა დამთვალიერებელს, ბატონი გურამის გადაწყვეტილებით სამდღიანი გამოფენა ერთ კვირას გასტანს. პატარაა სივრცე ამ უზარმაზარი ზომის ტილოების აღსაქმელად, მაგრამ პროფესიონალმა მხატვრებმა იზრუნეს იმისთვის, რომ ტექნიკური მხარე მოეგვარებინათ და სპეციალური განათლების საშუალებით მაინც შეძლებისდაგვარად სასურველი ეფექტი მიეღოთ. ზოგიერთი ნახატის ზომა ხომ 2,5X2,0 მეტრს აღწევს. დიდი შრომაა ჩადებული. უკვე ვახსენე, რომ თედომ პირველ გამოფენაზე ორმოცდაათამდე ტილო გამოფინა, სამჯერ მეტ მნახველსა და შემფასებელს ელოდება.

საოცარია სერიები **„ლანდშაფტები“, „კოსმოსი“, „სიზმრები“, „ჩემი გალაქტიკა“,** ფერთა ჰარმონია გაგაოცებს და გიპყრობს, გამშვიდებს და მხატვრის იმ სამყაროში გადაჰყავხარ, რომელსაც **„ჩემი ჰარმონია“** ჰქვია. ზეთი, აკრილი, შერეული ტექნიკა, ულევი ფანტაზია და საოცარი სამყარო, რომლის ერთ-ერთი წევრიც ძალაუნებურად შენც ხდები.

ეს მისი პირველი გამარჯვებაა. ვუსურვოთ შემდგომი წარმატებები.

მამუკა ვაშაკიძე

ცნობილი მთამსვლელის აზრი



„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მთაში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ, მიეცეთ შესაძლებლობა კვლავაც საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დარჩნენ. ასევე აუცილებელია ტურიზმის განვითარება, რათა ამ ხალხს სოფლის მეურნეობასთან ერთად შემოსავლის დამატებითი წყარო მიეცეს. ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ადამიანები დარჩნენ მთაში, ხოლო, თავის მხრივ, ტურიზმი ავითარებს ცხოვრებისთვის საჭირო ეკონომიკურ პირობებს. ჰიდროსადგურები (ჰიდროენერგია) ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ვიყენებთ ელექტროენერგიას და დამატებითი ჰიდროენერგია აუცილებელია სვანეთის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ეს ენერგიის ყველაზე სუფთა წყაროა, რაც გვაქვს. ეს ჩემი პირადი, პოლიტიკური შეხედულებაა,“ — განაცხადა ცნობილმა მთამსვლელმა რაინჰოლდ მესნერმა სვანეთში ვიზიტისას, სადაც „კავკასიის მთის ცენტრისთვის“ შერჩეული ტერიტორია დაათვალიერა.

კონკურსი

სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს სამეცნიერო პრემიების მოსაპოვებლად:

1) ილია აბულაძის სახელობის პრემია (ფილოლოგია);

2) ელენე მეტრეველის სახელობის პრემია (ფილოლოგია, ისტორია-წყაროთმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა);

საკონკურსოდ ცენტრში შემოტანილი ნაშრომი უნდა ასახავდეს მხოლოდ ქართული ხელნაწერების ფილოლოგიურ, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით და ხელოვნებათმცოდნეობით (ხელნაწერის ხელოვნება) კვლევასა და ანალიზს; საკონკურსოდ არ მიიღება კვლევის და ანალიზის გარეშე წარმოდგენილი ნაშრომი (მაგ., ალბომი ან მხოლოდ პუბლიკაცია).

დამატებითი ცნობები იხილეთ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე: — www.manuscript.ge და სოციალურ ქსელში — https://www.facebook.com/Manuscript.ge.

◎ სუმო

ზოგი ადის, ზოგიც ჩადის...

ლევან გორგაძე ოქეკის ტიტულისკენ დაუმარცხებლად მიიწევს. სუმოს უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილმა ქართველმა სეკიტორიმ ტოკიოში მიმდინარე მაისის ბაშოზე ზედიზედ მესამე ბრძოლა მოიგო. გუშინ მისი მეტოქე პირველი მაეგაშირა ტამავაში იყო.

სამი ტურის შემდეგ იმპერატორის თასისკენ უდანაკარგოდ რვა სეკიტორი მიიწევს, მათ შორის – იოკოძუნები ჰაკუჰო და კაკურიუ. დღეს გასამართ მეოთხე ტურში ტოჩინოშინის მეტოქე კომუსუბი მიტაკეუმი იქნება, რომელსაც მიმდინარე ბაშოზე ორი მოგება აქვს. რაც შეეხება ურთიერთშეხვედრების ბალანსს, უპირატესობა ლევანის მხარესაა – 4:2.

ტოჩინოშინისგან განსხვავებით, მაისის ბაშოს სტარტი წარუმატებელი აღმოჩნდა რანგით მეორე – ჯურიო ლიგაში მყოფი თეიმურაზ ჯუღელისთვის – გაგამარუდ წოდებულმა ქართველმა გუშინ ზედიზედ მესამე მარცხი იწვნია.

კობა კობახიძე

◎ კულუარული საიდუმლოებანი

მაინც, რა ღირს ვარსკვლავი?

პროფესიულ სპორტში – ფეხბურთში, კალათბურთში, ჰოკეისა და სხვ. მოთამაშის ფასი, რომლითაც მას, ვთქვათ, ერთი კლუბი მეორისგან იძენს, მისი სატრანსფერო ღირებულებით განისაზღვრება, რომლის არსი ბევრი მოყვარულისთვის ბოლომდე გასაგები არ არის.

ამასთან, სპორტსმენის სატრანსფერო ღირებულებაში არ შედის მისი ხელფასი, ასევე სხვადასხვა ბონუსი, თუმცა, ზოგჯერ ტრანსფერიდან რაღაც ნაწილი მასაც ერგება ხოლმე.

მაგრამ საქმე არც ასე მარტივადაა, რისი მიზეზი ის გახლავთ, რომ დაინტერესებული მხარეები ერთმანეთთან მოლაპარაკებას ყოველთვის ვერ ახერხებენ. სწორედ ამიტომაა, რომ მოთამაშესთან კონტრაქტის გაფორმებისას, როგორც წესი, გასამცლელოს ოდენობა დგინდება. ეს ის თანხაა, რომლის გადახდის შემთხვევაში კლუბმა მოთამაშე იმ შემთხვევაშიც კი უნდა გაუშვას, თუკი მისი გაყიდვა ძალიანაც არ სურს. სწორედ ეს წარმოშობა აქვს იმ ფანტასტიკურ 222 მილიონ ევროს, რომელიც შარშან ზაფხულში პარიზის „პსჟ“-მ „ბარსელონას“ ნეიმარში გადაუხადა. კატალონიელებს ბრაზილიელი ვარსკვლავის გუნდიდან გაშვება არ უნდოდათ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ იგი „გაეყიდათ“..

ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ ვარსკვლავებში გადასახდელი გასამცლელოს თანხები თითქმის გასამმაგდა: მაგალითად, არგენტინელი ლიონელ მესის შეძენის მსურველმა „ბარსელონას“ ამჟამად... 700 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს(!), თუმცა, არც ესაა ზღვარი, ვინაიდან კრიშტიანუ რონალდუს „რეალმა“, სულაც... მილიარდი ევროს ფასი „დაადო“.

ნინო ალექსანდრია

◎ მერიდიანზე

„ქართული გზა“ ჰიმალაიში



დიახ, ასე მოიხსენიება დღეს ჰიმალაის მასივში, რომელიც ნეპალის სამეფოს სიამაყეა, არცთუ დიდი სიმაღლის (6425 მ) ცენტრალური ჰიმალაის კლდოვანი მწვერვალი. რას იზამ, ჯომოლუნგმას მეზობლობა ადვილი არაა! ადგილობრივი დასახელებით – ლარკია-პიკი, იგივე მანასლუს ჰიმალაი, რომელიც, სამხრეთი კედლის გავლით, შარშან დალაშქრა (ჯერ არავის დაედგა ფეხი) სამმა ქართველმა მთამსვლელმა: არჩილ ბადრიაშვილმა, გიორგი ტეფნაძემ და ბაქარ გელაშვილმა.

არჩილი და გიორგი უკვე რამდენიმე წელიწადია ერთად დადიან კავკასიონისა და შუა აზიის ურთულეს მწვერვალებზე. 2015-ში; უშბა, ჯანღა, ტიანშანისა და პამირის მთები – როგორც ტექნიკური, ისე სასიმაღლო ასვლები. ჭაუხის კედლები ახალი გზით, ასევე მყინვარწვერზე ახალი გზა ზამთარში, გველეშაპის კლდეების გავლით და სხვ. 2017-ში მათ ცდა ჰქონდათ შხარაზე ზამთარში ასასვლელად (2018-ში არჩილი და გიო ავიდნენ კიდეც). ბაქარმა ორიოდე წელიწადია, რაც ბორჯომელი მოთხილამურისა და მაშველის სტატუსს ქართველი მთამსვლელის საამაყო წოდებაც შეუთავსა და უკვე ახალგაზრდული სამეულის საიმედო წევრიც გახდა.

რაც შეეხება ამ ასვლის მიზნის შერჩევას, ეს თვით ჯომოლუნგმაზე (ევერესტზე) ქართველ ამსვლელთაგან ერთ-ერთის, თბილისელი მოყვარული მთამსვლელი მშობლების ერთადერთი ვაჟის – გია თორთლაძის დამსახურებაა. სწორედ მან შეურჩია თავის ახალგაზრდა მეგობრებს ჯერ აუვალი კლდოვანი მწვერვალი და ურჩია მშობლიურ კავკასიონზე შეძენილი გამოცდილების მრისხანე ჰიმალაის მთიანეთში გამოყენება. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თუნდაც ასეთი მცირერიცხოვანი ჯგუფის სათანადოდ აღჭურვა და უცხო ქვეყანაში გამგზავრება ხელისუფლების დაუხმარებლად შეუძლებელი იქნებოდა. თვითონ სამეულის ჩარევითაც ეს საქმეც მოგვარდა და 2017 წლის 8 სექტემბერს ნეპალის დედაქალაქ კათმანდუში სამი ალპინისტი ჩაფრინდა თბილისიდან. ნეპალელთა ტურისტული ცენტრის აქტიური ჩართვით მათ ადვილად დაძლიეს სალაშქრო სამზადისი და 15 სექტემბერს ასვლაც დაიწყეს, რომელსაც არც მთამსვლელთა მაღალტექნიკური იერიშის ხიფათი დაჰკლებია, არც მეგობრული თავდადება და შეუპოვრობა. მე-9 დღეს უკვე მწვერვალზე იყვნენ. დაშვება უფრო ხანმოკლე გამოდგა, არადა, ღამე მოძრაობდნენ, რადგანაც დღისით ქვათაცვენას ერიდებოდნენ. ქართველთა ასვლას ალპინისტურ სამყაროში, ცხადია, შესატყვისი გამოხმაურება მოჰყვა: სწორედ მაშინ შეითხზა ჩვენთვის ესოდენ სასიამოვნო შესიტვება – „ქართული გზა ჰიმალაიში!“ არა მგონია, ქართველ გულშემატკივართა სულაც ლიტონი ამბავი იყოს ისიც, რომ ამ ასვლის შემდეგ შორეული კავკასიელი სტუმრების ნაგზაურს მალევე გაუყვნენ ლათინური ამერიკის გამორჩეული სპორტული ქვეყნის – ეკვადორის ალპინისტები.



მარცხნიდან: გიორგი ტეფნაძე, ბაქარ გელაშვილი, არჩილ ბადრიაშვილი.

ჩვენს მცირე უწყებას (შეიძლება – დაგვიანებულსაც) ვურთავთ რამდენიმე ფოტოკადრსაც, რათა მკითხველმა კარგად შეიგრძნოს მთამსვლელობის მარადიული მშვენიერება. რედაქცია დიდ მადლობას მოახსენებს ახალგაზრდა სამეულს ამ ფოტოების გულისხმიერი მოწოდებისათვის და მათს გამოქვეყნებას უძღვნის დიდ ქრისტიანულ დღესასწაულს – ამაღლებას.

ნოდარ ეგრალიძე

◎ ინტერნეტიდან

ქალია და გუნება

ესპანეთში თითქმის არ დარჩენილა ცნობილი ლამაზმანი, მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელ ვარსკვლავს კრიშტიანუ რონალდუს სიყვარულში რომ არ გამოტყდომოდა. მათგან რონალდუმ ოცნება, ცხადია, მხოლოდ ნაწილს აუსრულა და ის ბედნიერნი ჩაიგორა სარეცელში, ნაწილი კი ამაზე ჯერაც ოცნებობს და მოთქვამს.

თუმცა, სხვა ქალებს არ ჰგავს ცნობილი ესპანელი სუპერმოდელი ალმუდენა ფერნანდესი, რომელიც მისი თქმით თურმე ნამეტნავად ფინთ ხასიათზე დგება, როდესაც რონალდუს დანახვაზე ამძუვნებულ თანამემამულე ტურფებს უყურებს და იძახის – ვერ ვხვდები, ამ თმებგადასლექილ კაცში რა მოეწონათო.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ალმუდენა ფერნანდესი ზოგადად თავისი უჟმური ხასიათითაა ცნობილი და არამხოლოდ რონალდუზე, ზოგადად, ცნობილ ფეხბურთელებზე გადარეულ ქალებს ვერ იტანს, მაგრამ კრიშტიანუს და მასზე მთრთოლვარე ასულებს მაინც განსაკუთრებულად ერჩის. არ მოსწონს ეს რონალდუ და შეეხვეწე, თუ გინდა!...

◎ მოულოდნელი რაკურსით

ნათელა დავითაშვილის სახალისო მათემატიკა

თბილისელი პენსიონერი ნათელა დავითაშვილი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით გამოირჩევა. წერს ლექსებს (საკმაოდ გაჩარხულ ლექსებს), საგაზეთო წერილებს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, გაზეთებს წაუკითხავად არ ტოვებს. ახლახან ქალბატონმა ნათელამ გამოიგონა... მათემატიკური წესი-ხერხი ორნიშნა რიცხვების ერთ ხაზზე ძალიან მოკლედ და კვადრატში აყვანის შესახებ.

თუ რას წარმოადგენს ეს წესი-ხერხი თვითონ ქალბატონი ნათელა აგვიხსნის ყველაზე უკეთ:

„ჩემი გამოგონილი წესი-ხერხის მიხედვით, 10-დან 31-ის ჩათვლით ტოლობის ნიშნის შემდეგ იწერება 3 (სამი) რიცხვი.

მოქმედებას ვიწყებთ ერთეულიდან.

მაგალითად $(11)^2=121$; $(31)^2=961$.

ჩემი გამოგონილი წესი-ხერხის მიხედვით, 32-დან 99-ის ჩათვლით ტოლობის ნიშნის შემდეგ იწერება 4 (ოთხი) რიცხვი:

$(32)^2=1\overset{1}{0}24$. $(99)^2=9\overset{17}{8}01$.

ორნიშნა რიცხვი ერთ ხაზზე ძალიან მოკლედ კვადრატში რომ ავიყვანოთ, ამისათვის საჭიროა, ტოლობის ნიშნის შემდეგ, გამოვტოვოთ პატარა ადგილი, 3 (სამი) რიცხვი რომ დაეტიოს. მაგალითად, 87 კვადრატში რომ ავიყვანოთ, ამისთვის საჭიროა:

1) მოქმედება დავიწყოთ ერთეულიდან, ესე იგი 7-დან. $7^2=7X7=49$.

49-დან ერთეულ 9-ს ვწერთ ტოლობიდან ცოტა მოშორებით, რათა დაეტიოს 3 (სამი) რიცხვი, და დასამახსოვრებელ რიცხვს 4-ს ვაწერთ 9-ს:

$(87)^2=\overset{4}{9}$

2) ერთეული 7 გავამრავლოთ 8 ათეულზე, გავამრავლოთ კვადრატზე, ესე იგი 2-ზე, და მივუმატოთ დამახსოვრებული რიცხვი 4.

$7X8X2+4=116$

მიღებული 116-დან 6 ერთეულს ვწერთ 9 ერთეულის წინ, და ათეულ 1-ს და ასეულ 1-ს ვაწერთ 6 ათეულს

$(87)^2=\overset{11}{6}\overset{4}{9}$

3) 8 ათეული ავიყვანოთ კვადრატში და მივუმატოთ დამახსოვრებული რიცხვი 11 (თეთრმეტი).

$8X8+11=75$

75-ს ვწერთ ტოლობის ნიშნის შემდეგ.

$(87)^2=\overset{11}{7}\overset{4}{5}69$

ვფიქრობ, კარგი იქნება საჯარო სკოლებში შეასწავლონ „ორნიშნა რიცხვების ერთ ხაზზე ძალიან მოკლედ კვადრატში აყვანის წესი-ხერხი“.

* * *

ქალბატონ ნათელას გამოგონებას გამოეხმაურა (2018 წ. 1 მაისს) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ცნობილი მათემატიკოსი **ვახტანგ კოკილაშვილი:**

„თქვენი დაინტერესება სახალისო არითმეტიკით, პატივისცემის ღირსია. მოგეხსენებათ, გონების ვარჯიში ჯანმრთელობის ერთ-ერთი საწინდარია. თქვენს წერილში მითითებული ორნიშნა რიცხვების კვადრატში ახარისხების წესი მარტივად გამომდინარეობს გამრავლების კლასიკური წესიდან. იგი შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს სასკოლო მათემატიკური წრეებისთვის, საბავშვო მათემატიკური თამაშებისას.

ვადასტურებთ, რომ თქვენი დაინტერესება სახალისო მათემატიკით და გაწეული შრომა პატივისცემას იმსახურებს, თუკი არსებობს კიდევ ჟურნალი, რომელიც სასკოლო მათემატიკას ეხება, ალბათ შეიძლება, ეს წესი მოკლე შეტყობინებით დაფიქსირებულიყო.

ამასთან ერთად, დამეთანხმებით, თქვენს წერილში აღნიშნული წესი არ წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს მათემეტიკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება განიხილავს შრომებს, რომელიც ეხება ახალ ორიგინალურ შედეგებს მათემატიკასა და ფიზიკაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი განყოფილება თქვენ მიერ შემოთავაზებულ და, საზოგადოდ, სახალისო მათემატიკის საკითხებზე, მიმოწერას ვერ გააგრძელებს“.

მოამზადა
მაია ქეგულაძემ.

ზაჰესში ტრაილერს ავტომობილი შეეჯახა



ზაჰესში გაჩერებულ ტრაილერს მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. დაშავდა ავტომობილის მძღოლი, რომელიც სასწრაფომ საავადმყოფოში გადაიყვანა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დარღვევას გულისხმობს.

324.93 გრამი ჰეროინი ფეხსაცმლის ქუსლებში

შსს-მ ფონიჭალაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო. ინფორმაციას ამის შესახებ თავად უწყება ავრცელებს:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1976 წელს დაბადებული ზ.ნ. დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ზ.ნ. ზემო ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო 4 შეკვრად დაფასოებული 324.93 გრამი ჰეროინი, რომელიც ბრალდებულს ფეხსაცმლის ქუსლებში ჰქონდა დამალული.

უაქციზო სიგარეტის შენახვა-რეალიზაციის ფაქტებზე სამი პირი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, პირთა ჯგუფის მიერ მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა-შენახვა-რეალიზაციის სამი ფაქტი გამოავლინეს და სამი პირი დააკავეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორ შემთხვევაში, ბრალდებულების მართვის ქვეშ არსებული სატრანსპორტო საშუალებებიდან ამოღებულია სხვადასხვა დასახელების, საერთო ჯამში 2 880 კოლოფი უაქციზო სიგარეტი. ხოლო მესამე შემთხვევაში, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული 3 000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული სიგარეტის საერთო საბაზრო ღირებულება 14 000 ლარს აღემატება.

ხაშურის მუნიციპალიტეტში უკანონო სახერხი საამქრო გამოვლინდა

აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ხაშურის მუნიციპალიტეტში უკანონო სახერხი საამქრო ნახეს, ერთი ერთეული ე.წ. ლენტური ტიპის ხერხი სპეციალურად მოწყობილ ლიანდაგზე იყო განთავსებული.



სამართალდარღვევასთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

სახერხი დანადგარი დაილუქა. მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნება.

ყაჩაღობა ქუთაისში

ქუთაისში, „ლუქს კარადენის“ ოფისი დააყაჩაღეს. ოფისში თურქეთში გასამგზავრებელი ბილეთები იყიდება, ასევე შემოდის თურქული გზავნილები. ოფისში ორი პირი შეიჭრა და 20-მდე გზავნილი წაიღო.

ყაჩაღობის ფაქტი ორშაბათს, დღის საათებში მოხდა. მომხდარზე გამოძიება ყაჩაღობის მუხლით დაიწყო და საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთის დასასვენებელი სახლის (უძრავ-მოძრავი ქონების) 50%-ანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი.

ტელეფონი: ქალაქის–2–510–281 მობილურის 577 240–233.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული მიწის ნაკვეთის (დუშეთის რ-ნი) საწყისი გასაყიდი ფასის 75%-ანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი.

ტელეფონი: ქალაქის–2–510–281 მობილურის 577 240–233.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

ა უ ქ ც ი ო ნ ს

მის ბალანსზე რიცხული 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების 50%-ანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი.

ტელეფონი: ქალაქის–2–510–281 მობილურის 577 240–233.

2017 წელს საქართველოში 7.9 მილიონი საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა

2017 წელს საქართველოს ტერიტორიაზე აღირიცხა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 7.9 მილიონი შემოსვლა, რაც 17.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 44.7%, განხორციელდა 31-50 წლის ასაკის მქონე მოგზაურების მიერ.

აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20.2 პროცენტით არის გაზრდილი.

ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა, 2.4 მილიონი, მესამე კვარტალში დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი 26.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 4.1 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 23.4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საერთაშორისო ვიზიტორების 63.8 პროცენტი მხოლოდ ტურისტები იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების წილმა 30.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 5.8 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

2017 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული წლიური ხარჯები 5.8 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 31.6 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ვიზიტზე საშუალო ხარჯი წინა წელთან შედარებით 9.4 პროცენტით გაიზარდა და 888.7 ლარი შეადგინა.

...ანდა, სულაც ნუ ივახშმებთ!

თუკი ზედმეტი წონის აკრეფა არ გსურთ, ასეთები კი, დარწმუნებული ვართ, ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობაა, ვახშმობა უმჯობესია დაძინებამდე ოთხი საათით ადრე.

მაგრამ, თუკი ამ წესის დაცვა არ ხერხდება, მაშინ საჭმლის მიღების შემდეგ დაწოლა მარჯვენა გვერდზე სჯობს – საქმე ისაა, რომ ამ მდგომარეობაში ღვიძლი უფრო მეტადაა დაცული ნაღვლის მოხვედრისგან. სხვა შემთხვევაში იგი კუჭში ჩადის და ჭამს მის ლორწოვან გარსს, რისი გარდაუვალი შედეგია გასტრიტი ან კუჭის წყლული.

საიუბილეო მეტრომანი



თბილისის მერმა ჟურნალისტებს მეტრომანის საიუბილეო ესკიზის კონკურსში გამარჯვებული წარუდგინა. ახალი დიზაინის ავტორმა რეზო მელიქიშვილმა მეტრომანი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენიდან 27 წლის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა.

საიუბილეო მეტრომანის შეძენა მოქალაქეებს დღეიდან წლის ბოლომდე შეეძლებათ. დედაქალაქის მერის კახა კალაძის თქმით, 23, 24, 25, 26 მაისს მეტრომანი მეტროსადგურების სალაროებში უფასოდ დარიგდება.

ჩინეთში მთვარეზე გაფრენის იმიტაციის 370-დღიანი ექსპერიმენტი დასრულდა

ჩინეთის მოხალისეთა ჯგუფმა დახურულ კოსმოსურ ლაბორატორიაში მთვარეზე გაფრენის იმიტაციის ექსპერიმენტი დაასრულა.

პეკინის უნივერსიტეტში შექმნილი ლაბორატორია „მთვარის სასახლე“ იყენებს ტექნოლოგიებს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში დედამიწის გარეთ ცხოვრების იმიტაციას ახდენს. ტესტის დროს მეცნიერებმა დაადგინეს, თუ როგორი რეაგირება ექნებოდათ მონაწილეებს მთვარესთან მიახლოებისას.

ექსპერიმენტი 2017 წლის 10 მაისს დაიწყო და შედგებოდა რამდენიმე ეტაპისგან, რომლის საერთო ხანგრძლივობის ვადა იყო 370 დღე. სულ ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო რვა იაპონელმა სტუდენტმა, რომლებიც მონაცვლეობით ცხოვრობდნენ ლაბორატორიის დახურულ სივრცეში.

ექსპერიმენტული კომპლექსის ტერიტორია 160 კვადრატული მეტრია, სადაც არის ყველა აუცილებელი პირობა – საძინებელი, მისაღები, აბაზანა და ასევე ოთახი მცენარეებისა და ცხოველებისთვის.



ორმა გოგომ და ორმა ბიჭმა დახურულ სივრცეში 60 დღე დაჰყო. ამის შემდეგ ისინი ჩაანაცვლა მეორე ჯგუფმა, რომელიც ასევე ოთხი წევრისგან შედგებოდა. მათ დაჰყვეს 200 დღე დახურულ სივრცეში. შემდეგ კვლავ პირველი ჯგუფი ჩაენაცვლა და მათი მონაცვლეობით დასრულდა ექსპერიმენტი.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მაჯისცემა

– სრულიად ჯანმრთელი ხართ, მაჯისცემა მშვენიერი გაქვთ, თანაბრად და მკაფიოდ გიცემთ, როგორც საათის წიკწიკი.

– არც არის საკვირველი, ექიმო! მთელი ერთი წუთია, ჩემს საათზე გიდევთ ხელი.

ვაჟკაცობა

– ვიმედოვნებ, რომ ალფრედმა ამ დარტყმას ვაჟკაცურად გაუძლო.

– აბა, რა! მთელი დანაშაული ცოლს გადააბრალა.

მძიმე სენი

– ჩემი ცოლი საშინლად იტანჯება.

– რა მოუვიდა?

– ყელი სტკივა.

– ყელი საშიში არ არის, გაუვლის.

– კი, მაგრამ, ხმა ისე ჩაეხრინწა, ვერ მეუბნება, რა სჭირს!

ეგ ის არ არის

– რატომ ხარ ნაღვლიანი?

– უხეირო ამბავი შემემთხვა, გუშინ მე და ირინკამ მოვილაპარაკეთ კინოში უნდა წავსულიყავით და სახლში მივაკითხე, კარი დედამისმა გააღო და ეგრევე მომახალა: „თქვენ, ალბათ, ის ახალგაზრდა ბრძანდებით, ირინკა რომ მიყვებოდა, ვიმედოვნებ, სერიოზული განზრახვა გაქვთ...“ ამ დროს მეორე ოთახიდან ირინკას ხმა მესმის – დედა, ეგ ის არ არის...

თემა

– ლილი კოვალსკაია თუ მოგწონთ?

– ძალიან.

– რას ფიქრობთ კუშპეტოვსკაიაზე?

– მშვენიერი ადამიანია.

– არა, რა, შენთან საუბრის თემას ვერ ვპოულობ!..

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4434; ევრო - 2.9277;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3211;
100 რუბლი - 3.9591; თურქული ლირა - 0.5654;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4413;
1000 სომხური დრამი - 5.0276.

ამინდი 16 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge